ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 7 აგვისტო, 2013 | №185 (6186) | ფასი: 30 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი: „პუტინთან შესახვედრად მზად ვარ, მაგრამ ახლა ამის საფუძველი არ არსებობს“

გვ.5

„ივანიშვილის ხათრით პლასტილინის კაცს პრეზიდენტად ვერ ავირჩევთ!“

გვ. 4

იყენებს თუ არა წინასაარჩევნოდ მარგველაშვილი ადმინისტრაციულ რესურსს

გვ.2

სოზარ სუბარი: „ბაჩო ახალაიამ აღიარა, რომ ცხეში მაყურებლები იყვნენ“

გვ.2

ირაკლი ღარიბაშვილი: „დანაშაულებმა 4126 ერთეულით იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 30,2%-ით მოიმატა“

გვ.3

„ვისაც პოლიციის წარმატება არ უხარია, ის ჩვენი ქვეყნის მტერია“

სანდრო ბრეგაძე: „ეს კოჰაბიტაცია უკვე ყელში ამოვიდა!“

გვ.6

რა პრეტენზიები აქვს ხალხს დავით სავანელიძესთან

გვ.5

გია გაჩეჩილაძე: „მწვანეთა პარტიის გაქრობაზე არც კი იოცნებოთ!“

აგვისტოს ომის 5 წლისთავთან დაკავშირებით ვილნიუსში მიტინგი გაიმართება

ვილნიუსში საქართველოს მხარდასაჭერად და რუსეთთან ომის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით მიტინგი გაიმართება. ორგანიზატორების განცხადებით, ღონისძიებაზე ლიტველი კონსერვატორები შეეცდებიან, საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ საქართველოსკენ, რომელსაც დასავლეთი წინა ხელისუფლების წარმომადგენლების დევნაში ადანაშაულებს.

„ამ წელს პირველად მიტინგი ჩატარდება არა მარტო საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, არამედ თავისუფლებისთვის თავად საქართველოშიც, რადგან ის პროცესები, რომლებიც ახლა საქართველოში მიმდინარეობს – როგორებიცაა თავისუფლების აღკვეთა და ასევე ადამიანის უფლებების შელახვა – შეშფოთებას იწვევს“, – განუცხადა BNS-ს ვილნიუსის კონსერვატორების ხელმძღვანელმა, პარლამენტარმა მანტას ადომენასმა.

მიტინგი, ტრადიციულად, რუსეთის საელჩოსთან გაიმართება და ლოზუნგით – „საქართველოს თავისუფლებისთვის – საქართველოში თავისუფლებისთვის!“ ჩატარდება.

ადომენასი მიტინგზე, სულ მცირე, 100 ადამიანის მისვლას ვარაუდობს.

ნიუსპრესი

შიზოფრენიით დაავადებულთა რიცხვმა 12 ათასს გადააჭარბა

გვ.7

ISSN 1987-9385

6 ბათუმში „ლიბერთი ბანკის“ ახალი სერვისცენტრი გაიხსნა

3 გია ქორქოლიანი: „ქვეყნის განვითარების ავანგარდად უნივერსიტეტი უნდა იქცეს!“

4 პედაგოგთა საგამოცდო პროგრამები საგაკვეთილო პროცესზე ორიენტირებული არ არის

4 მეტეხის ტაძრის გადახურვა სრულად განახლდება

იყენებს თუ არა წინასაარჩევნოდ მარგველაშვილი ადმინისტრაციულ რესურსს

შორენა მარსაგიშვილი

მთელი ეს წლები პოლიტიკური სპექტრი იმას ჩიოდა, რომ ნაციონალები წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდნენ. ხელისუფლებაში მოსულმა მეოცნებეებმა ცოტა ხნის წინ დადეს პირობა, რომ ადმინისტრაციულ რესურსს არ გამოიყენებდნენ.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების გამო ჯერ არავის უჩივლია მეოცნებეებისთვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საარჩევნო კამპანია ჯერ ძალაში არ შესულა. ყველაფერი მშვიდად მიდიოდა, მარგველაშვილის გარშემო წიოკი „თუშეთობა 2013“-ის შემდეგ ატყდა. მარგველაშვილი ამ ღონისძიებას დაესწრო. თუშური ხინკალიც დააგემოვნა და მშვილდისარიც მოსინჯა. საქმეში ჩახედულმა ხალხმა თქვა, პრეზიდენტობის კანდიდატის მინწვევა ამ ღონისძიებაზე შესაძლოა უკანონო შემოწირულობად ჩაითვალოსო.

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გიორგი მარგველაშვილს საგანგებოდ მიმართა და მოუწოდა არ დაუშვას წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. თუშეთში ნაჭამი ხინკალი პრეზიდენტობის კანდიდატს არც ამ ორგანიზაციამ შეარგო.

– სწორედ როგორც „ახალი პოლიტიკური სტანდარტების“ დამკვიდრებისკენ გადადგმული ნაბიჯი ახსნა გიორგი მარგველაშვილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრობიდან გადადგომა, მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა ამას არ ავალდებულებდა. პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის ეს გადაწყვეტილება უდავოდ მისასალმებელია. თუმცა მარგველაშვილის ერთგულება მის მიერვე გაცხადებული პოლიტიკის მიმართ ეჭვქვეშ დააყენა ბოლო პერიოდში მისი საჯარო გამოჩენის სპეციფიკამ. მხედველობაში გვაქვს მისი დასწრების ფაქტი იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შრომის კოდექსის ბეჭდური ვერსიის პრეზენტაციაზე და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ თუშეთობის დღესასწაულზე ომალოში, სადაც მარგველაშვილმა ვერტმფრენით იმგზავრა. ჩვენთვის უცნობია არის თუ არა სატრანსპორტო საშუალება სახელმწიფო საკუთრებაში.

პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის საჯარო შეხვედრების საკითხი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაზეც განიხილეს, სადაც ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ დასახელებული კანდიდატი კულტურისა და რეინტეგრაციის სამინისტროების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსაც ესწრებოდა“, -ნათქვამია სტატიაში.

ორგანიზაციის ინფორმაციით, მსგავსი ტიპის ღონისძიებებზე პრეზიდენტობის კანდიდატის დასწრება კანონდარღვევებს წარმოშობს, რადგან პარლამენტის მიერ სამი მოსმენით უკვე მიღებულ საარჩევნო კოდექსში ცვლილების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ღონისძიებებზე აგიტაცია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად ითვლება. აგიტაცია კი, მოქმედი კოდექსით, შეიძლება ნებისმიერი საჯარო მოქმედება იყოს, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის პირის არჩევას. საარჩევნო მიზნების მქონე პირის საჯარო ღონისძიებაზე დასწრება კი არის მისთვის პლატფორმის დათმობა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ასევე ამ ქმედებით, კანდიდატი ზოგავს საკუთარ ფინანსებს, რაც შესაძლოა, განხილული იქნეს, როგორც სახელმწიფო ორგანოს მხრიდან გაღებული უკანონო შემოწირულება.

„გიორგი მარგველაშვილი ამ დრომდე საპრეზიდენტო კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირებული არ არის და ასეთი ქმედებებისგან თავის შეკავების, ისევე როგორც – მინისტრობიდან გადადგომის ფორმალური ვალდებულება მას არ გააჩნია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ წინასაარჩევნო კამპანია ფაქტობრივად უკვე დაწყებულია, საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაცია კი მხოლოდ ფორმალურ პროცედურას წარმოადგენს, კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატს მოვუწოდებთ, დაიცვას ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტი, რომლის თანახმად, სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკაფიო განსხვავება უნდა არსებობდეს, რაც ამ შემთხვევაში დარღვეული იყო. დაიცვას მის მიერვე დეკლარირებული მაღალი პოლიტიკური სტანდარტი და კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირებამდეც არ დაუშვას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ვინაიდან ამომრჩევლისთვის ის უკვე აღიქმება, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, – ნათქვამია საგანგებო მიმართვაში.

გამჭვირვალობის განცხადებას მარგველაშვილის გუნდი რამდენიმე საათში გამოეხმაურა. მათი განმარტებით, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება „ქართული ოცნების“ ინტერესებშია.

– მივესალმებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“-ს ინტერესს ქვეყანაში ჩატარდეს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. კოალიცია „ქართული ოცნებისათვის“ მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ დღეს ჩვენ ვსაუბრობთ არა კანონდარღვევებზე, რასაც წინა ხელისუფლების დროს ჰქონდა ადგილი, არამედ მაღალი პოლიტიკური სტანდარტების დამკვიდრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს აძლევს საშუალებას, იმავდროულად იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილმა 2013 წლის 16 ივლისს აღნიშნული თანამდებობა დატოვა. გარდა, ამისა პრეზიდენტობის კანდიდატმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ყველა კანდიდატს თანაბარ პირობებში მოუწევს საარჩევნო კამპანიის წარმოება.

კოალიცია „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარება ქვეყნისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ არსებული ხელისუფლება, განსხვავებით წინამორბედისგან, არანაირი პირდაპირი თუ ირიბი გზით არ ეცდება წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განმარტებით – „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ყველა მონაწილეს, ყველა კანდიდატს ჰქონდეს თანაბარი უფლებები, არცერთ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული სახელმწიფო რესურსები.“ სწორედ, ზემოაღნიშნული სტანდარტების დამკვიდრებას ემსახურება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში. კოალიცია „ქართული ოცნება“ წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა გამოუცხადა მხარდაჭერა. საარჩევნო კამპანია არ გასცდება კანონით დადგენილ თუ პოლიტიკური სტანდარტის ზღვარს, რომლის აღსრულებისთვისაც კოალიცია იბრძოდა და იბრძვის საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, – ნათქვამია საგანგებოდ გავრცელებულ განცხადებაში.

ვნახოთ როგორ შეასრულებს დაპირებას „ქართული ოცნება“.

სოზარ სუბარი: „ბაჩო ახალაიამ აღიარა, რომ ციხეში მაყურებლები იყვნენ“

ნათია ხურცილავა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა შესრულებული მუშაობის 6 თვის ანგარიში წარმოადგინა. ანგარიში საზოგადოებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა მაია ხასიამ გააცნო. კონფერენციაზე ასევე განხილულ იქნა სასწავლო ცენტრში დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები.

კონფერენციაზე სასწავლო ცენტრის ინიციატივით გადაღებული სასწავლო ფილმი „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიღება-განთავსება“ აჩვენეს.

კონფერენციას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი, მინისტრის მოადგილეები და სისტემის სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

სასჯელაღსრულებების მინისტრმა ჟურნალისტებთან მიმდინარე საკითხებზე კომენტარი გააკეთა. სოზარ სუბარის განცხადებით, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ კორტავას საქმესთან დაკავშირებული განცხადებით თავისი ქმედებების აღიარება მოახდინა.

– ბაჩო ახალაიამ ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა, პრაქტიკულად, ეს იყო აღიარება და ლუსტრაცია თავისი ქმედების, როცა მან თქვა, რომ ციხეში „მაყურებლები“ იყვნენ და მოქმედებდნენ მხოლოდ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. აი, ეს არის ის, რასაც ჩვენ ვებრძვით, ეს არის ის რეალობა, რაც დაგვხვდა, რასაც ჩვენ მოვუღებთ ბოლოს, ოღონდ, ამას სჭირდება დრო, – განაცხადა სუბარმა.

მინისტრის განცხადებით, ციხის ადმინისტრაცია და „კანონიერი ქურდები“ წლების მანძილზე შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

– რაც შეეხება იმას, იყვნენ თუ არა „მაყურებლები“, ახალაიამ თვითონ აღიარა, რომ იყვნენ. ამაზე მე მაქვს დაწერილი დასკვნა, როცა სახალხო დამცველი ვიყავი და იქ აღწერილია, როგორ მოქმედებდნენ ადმინისტრაცია და „ქურდები“ ერთად, რაც ახალაიამ თავისი განცხადებით დაადასტურა, – აღნიშნა სუბარმა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს კორტავას საქმესთან დაკავშირებით. ბაჩო ახალაიას განცხადებით, „გეგუთის ციხეში გარდაცვლილი პატიმრის ლევან კორტავას საქმეზე აღნიშნული დაწესებულების დირექტორი მალხაზ სინაურიძე იმიტომ არ დაიკავეს, რომ იგი ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში მის წინააღმდეგ ერთადერთი მოწმეა“.

სოზარ სუბარის განცხადებით, გეგუთის ციხეში გარდაცვლილი პატიმრის ლევან კორტავას საქმესთან დაკავშირებით პროკურატურამ მაქსიმუმი გააკეთა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა პირი პასუხისგებაშია მიცემული.

ამის შესახებ სუბარმა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გუშინ კორტავას საქმესთან დაკავშირებით გავრცელებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც, არასამთავრობოები გეგუთის ციხის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვენ.

– დირექტორი და მისი მოადგილეები გარდაცვალებიდან ზუსტად სამ-ოთხ დღეში იქნენ გათავისუფლებულნი, ხოლო რამდენიმე დღეში – უსაფრთხოებისა და რეჟიმის სამსახურის ხელმძღვანელები. პირველად მოხდა, როცა მომხდარ დანაშაულზე ძალიან სწრაფი და ადეკვატური რეაგირება მოხდა. დღეისთვის დაკავებულია 8 ადამიანი, ნაწილი თანამშრომლები, ნაწილი მსჯავრდებულები. ძიება გრძელდება. თუკი ვინმეს ბრალეულობა გამოიკვეთება, მათი დაკავებაც მოხდება. პირდაპირ გეტყვით, რომ ამ 9 წლის განმავლობაში, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანას მართავდა, როცა ციხეებში ყოველწლიურად რამდენიმე და ზოგჯერ რამდენიმე ათეული ადამიანის მკვლელობა და ყოველდღიურად წამება ხდებოდა, ერთად 8 ადამიანის პასუხისგებაში მიცემა არ მომხდარა. კორტავას საქმესთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროკურატურამ მაქსიმუმი გააკეთა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დეტალი ბოლომდეა გამოძიებული და ყველა პირი პასუხისგებაშია მიცემული, – განაცხადა სუბარმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი ღარიბაშვილი: „დანაშაულებმა 4126 ერთეულით იკლო, გახსნის მაჩვენებელმა კი 30,2%-ით მოიმატა“

„ვისაც პოლიციის წარმატება არ უხარია, ის ჩვენი ქვეყნის მტერია“

ნათია ხურცილავა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ თელავში იმყოფებოდა, სადაც მან ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

ერთ-ერთი მთავარი კითხვა ბარბარე რაფალიანცის საქმის გახსნას შეეხებოდა. როგორც ღარიბაშვილი აცხადებს, აღნიშნული საქმე წინა ხელისუფლებას უნდა გაეხსნა.

ღარიბაშვილის განცხადებით, ისინი, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას არ გაურბიან.

– მინდა, შევახსენო წინა ხელისუფლებას, რომ ჩვენ სამინისტროში დავინიშნეთ 25 ოქტომბერს. პრაქტიკულად, 1 ნოემბერს შევუდექით საქმიანობას. მანამდე ერთი თვე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლება იყო და ის ასრულებდა მოვალეობებს. სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო ამ დანაშაულის გახსნა. სამწუხაროა, კიდევ ვამბობ, მაგრამ ეს არ მიხსნის ვალდებულებას, რომ ეს საქმე იყო გამოძიებული და ბოლომდე მიყვანილი. ეს ასეც იქნება, უბრალოდ, დროში გაიწელა, ვინაიდან გართულდა ამ საქმის გამოძიება, მაგრამ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ, მათგან განსხვავებით, პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას არ გავურბივართ. პირიქით, მათ მიერ გაფუჭებულ საქმეებზე ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი დანაშაულის მაჩვენებლის შემცირებაზე აკეთებს განცხადებას. მისი განცხადებით, დანაშაულის მაჩვენებლის შემცირება მაშინ, როცა ციხიდან 14 000 პატიმარია გამოსული, დიდი წარმატებაა.

ღარიბაშვილი დანაშაულის 30 პროცენტით შემცირებაზე საუბრობს.

– თქვენ როგორც ნახეთ, დაახლოებით, 30%-თ არის შემცირებული დანაშაული და ამდენივე – 30%-თ არის გაზრდილი გახსნილი დანაშაულის პროცენტულობა. 4000 ერთეულით არის შემცირებული დანაშაული, რაც არის, მე ვფიქრობ, ძალიან დიდი წარმატება, იმ დროს, როცა 14 000 პატიმარია ციხის გარეთ გამოსული. იცით, რომ ჩვენ ძალიან დიდი გამოწვევები გვქონდა. დანიშვნის დღიდან ჩვენ პრაქტიკულად, შეუსვენებლად ვმუშაობდით იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაგვეცვა ჩვენი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება და სიამაყით მინდა, ვთქვა, რომ ეს თითოეული პოლიციელის დამსახურებაა. მე ნამდვილად ვულოცავ ყველა პოლიციელს ამ წარმატებას. მთელი პოლიცია არის ძალიან მოტივირებული, ძალიან ორგანიზებული და მართლაც მიხარია, რომ ეს არის შედეგი იმისა, რომ 9 თვის თავზე მივიღეთ დეპოლიტიზებული პოლიცია, ჩვენ მივიღეთ მოტივირებული პოლიცია, უფრო მობილიზებული და, რაც მთავარია, მათი საქმიანობა არის ძალიან წარმატებული. ეს არის ჩვენი 9 თვის წარმატებული საქმიანობის შედეგი. დანაშაული, როგორც გითხარით, არის შემცირებული. 53,3% შეადგენს გახსნის მაჩვენებელი, მაშინ როცა გასულ წელს იყო ამის ნახევარი, უფრო ნაკლები – 23%. ამ მხრივ ძალიან სტაბილური მდგომარეობაა საქართველოში. კრიმინალი ყოველთვის ხდება ყველა ქვეყანაში. მე, უბრალოდ, მოვუწოდებ ყველას, მათაც, ვისაც არ უხარია ჩვენი წარმატება, ყოველთვის ახსოვდეთ მთავარი: ჩვენ ყველანი ვემსახურებით ერთ საქმეს. ეს არის ჩვენი ქვეყანა და ჩვენ გვაქვს საერთო ინტერესები. ის, ვისაც არ უხარია პოლიციის წარმატება, არის ჩვენი ქვეყნის მტერი, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კიდევ ერთი გახმაურებული საქმის შესახებ გააკეთა კომენტარი შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ჟურნალისტებთან „თალიბანის“ სახელით გავრცელებული ვიდეოების გამოძიების პროცესთან დაკავშირებით ისაუბრა მინისტრმა და აღნიშნა, რომ 21-ე საუკუნეში კიბერ დანაშაულის გამოძიება ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

– მარტო არ ვიძიებთ ამ საქმეს. ჩვენ გვეხმარებიან უცხოელი პარტნიორები. უნდა დაველოდოთ. არის საქმეები, ეს ეხება კიბერდანაშაულს, კიბერდანაშაული კი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. შესაბამისად, უნდა დაველოდოთ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ასევე ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, აგვისტოს ომსა და მედვედევის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე.

ღარიბაშვილის განცხადებით, ჩვენ მხოლოდ გააზრებული, თანმიმდევრული და ქმედითი ნაბიჯების შედეგად შევძლებთ გაერთიანებული საქართველოს საზღვრის არეალში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას.

ღარიბაშვილი თელავში შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოსთვის ახალი საპატრულო მანქანების გადაცემის ცერემონიალზე იმყოფებოდა და, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთ-საქართველოს ომის თემაზეც ისაუბრა.

– ახლოვდება 8 აგვისტო. 5 წლის წინ ჩვენს ქვეყანას დიდი განსაცდელის გამოვლა მოუხდა. რუსეთ-საქართველოს ომმა მძიმე დანაკლისი მოგვიტანა. ოკუპირებული ტერიტორიები, იძულებით გადაადგილებული ჩვენი თანამოქალაქეები, დაჭრილები, დაღუპულები. ძვირფასო პოლიციელები, ჩემო მეგობრებო! ჩვენ მუდამ პატივი უნდა მივაგოთ იმ პირთა ხსოვნას, რომლებიც ამ ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირნენ. დაღუპულთა შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს გმირი თანამშრომლებიც არიან. მათი სახელი მათმა თავდადებამ უკვდავყო. მე მჯერა, რომ მათ თავგანწირვას ფუჭად არ ჩაუვლია. ჩვენ მხოლოდ გააზრებული, თანმიმდევრული და ქმედითი ნაბიჯების შედეგად ახლო მომავალში შევძლებთ გაერთიანებული საქართველოს საზღვრის არეალში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას, იმ პროგრესის დანერგვას, რომელიც ქართულ პოლიციაში დღეს ხორციელდება, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს გაუმხილა, თუ რითი ამაყობს. როგორც ღარიბაშვილი ამბობს, ის საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით გატარებული რეფორმებით ამაყობს.

– ჩვენ ვაგრძელებთ საპატრულო პოლიციაში სიახლეების დანერგვას. მე ვარ ამაყი იმით, რომ უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები გავატარეთ. ეს რეფორმები, წარმატებები და მიღწევები უდავოდ თქვენი, თითოეული პოლიციელის დამსახურებაა და მინდა, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ გაწეული სამსახურისათვის, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

გუშინ მინისტრმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარ სამმართველოს ახალი საპატრულო მანქანები გადასცა.

სამინისტროს ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის რებრენდინგი თბილისისა და ბათუმის შემდეგ კახეთის რეგიონშიც განხორციელდა. კახეთის საპატრულო პოლიციის ავტოპარკი მთლიანად განახლდა და „შკოდას“ მარკის 17 ახალი ავტომანქანით შეივსო, პატრულ-ინსპექტორებს კი ყველა საჭირო ატრიბუტიკა, მათ შორის, ახალი სამხრე კამერით აღჭურვილი პოლიციის ფორმები გადაეცათ.

ასევე გაფართოვდა კახეთის საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი. საპატრულო ეკიპაჟები ახლა უკვე ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს რაიონებშიც დაიწყებენ პატრულირებას.

საპატრულო პოლიციის რებრენდინგი გაგრძელდება და მალე საქართველოს ყველა რეგიონში განხორციელდება.

გია ჟორჟოლიანი: „ქვეყნის განვითარების ავანგარდად უნივერსიტეტი უნდა იქცეს!“

ნათია ხურცილავა

განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრ გიორგი მარგველაშვილის მინისტრობის დროს მინისტრთან შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც დეპუტატი გია ჟორჟოლიანი ხელმძღვანელობს. ინარჩუნებს თუ არა საბჭო თავის ფუნქციას ახალი მინისტრის პირობებში? რა ამოცანები აქვს საკონსულტაციო საბჭოს? რა მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა?

ამ კითხვებზე საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ჟორჟოლიანი გვპასუხობს:

– ბატონო გია, როგორც ვიცით, შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო უმაღლესი განათლების მიმართულებით, სადაც შედიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მეცნიერთა აკადემიის წევრები. რა არის საბჭოს ამოცანა?

– ჯერ კიდევ გიორგი მარგველაშვილის განათლების მინისტრობის დროს შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომლის ამოცანაა, უზრუნველყოს მკვლევრების, პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობა იმ რეფორმის პროცესში, რომელიც აუცილებელია, განხორციელდეს. ვფიქრობ, ეს ძალიან დროული გადაწყვეტილებაა. ეს არის ის სფერო, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვიწრო მიმართულებით, არამედ მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის. ეს არის უნივერსიტეტებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება, უნივერსიტეტების ადგილი და როლი ქვეყნის განვითარებაში. ამ 20 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით უნივერსიტეტები, პრაქტიკულად, ჩამოშორებული იყვნენ ქვეყნის განვითარების საქმეში აქტიურ მონაწილეობას. თუ ეს მიდგომა რადიკალურად არ შევცვალეთ, ჩვენ ვერ შევქმნით თანამედროვე, მოდერნირებულ, განვითარებულ ეკონომიკას და ქვეყანა ვერ განვითარდება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. ცოდნა არის ის საფუძველი, ის ბაზა, რომელზეც უნდა მოხდეს სხვა ღირებულებების დაფუძნება. ჩვენი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური არასტაბილურობის, საერთაშორისო ურთიერთობებში პრობლემების მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენი ცხოვრება ზოგადად, ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი პოლიტიკა ცოდნას არ ეყრდნობოდა. ცოდნის რეზერვუარი, მთავარი მწარმოებელი და გადამცემი ინსტიტუტები არიან უნივერსიტეტები. სწორედ უნივერსიტეტები უნდა დაბრუნდნენ ქვეყნის ცხოვრების შუაგულში და უნდა გახდნენ ქვეყნის ინტელექტუალური მამოძრავებელი ძალა, განვითარების ფლაგმანი.

– ახალ მინისტრთან თუ გრძელდება თქვენი საბჭოს თანამშრომლობა?

– გიორგი მარგველაშვილმა მოაწერა ხელი აღნიშნული საბჭოს მოქმედებას, თუმცა ახლა, რა თქმა უნდა, ახალ მინისტრთან გრძელდება მუშაობა. ძალიან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ. ვფიქრობ, ახალი მინისტრი გრძნობს უნივერსიტეტების, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განსაკუთრებულ როლს სწორედ ქვეყნის სამსახურში.

– ფორმალურია საბჭოს არსებობა თუ რეალურად შეიძლება მართლაც იყოს გარკვეული შედეგი?

– რას ბრძანებთ! მართალია, სულ რაღაც 10 დღეა ფუნქციონირებს, მაგრამ უკვე გვქონდა სამდღიანი სემინარი, დეკანების კონფერენცია. გახლდით რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში, უკვე შეეხვდი რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელს. ტექნიკურ უნივერსიტეტში ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა. ძალიან აქტიურად და ენთუზიაზმით არიან განწყობილი ადამიანები, რომ ჩაერთონ ამ პროცესში. ახლა ქუთაისში ვარ და ქუთაისშიც შედგა შეხვედრა, ხვალ შეხვედრაა საავიაციო უნივერსიტეტში, ასევე შეხვედრა დაგეგმილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ყველა უნივერსიტეტში იქნება შეხვედრა, უკვე ვარ შეთანხმებული, რომ მივიდე, შევხვდე ყველას და ვისაუბროთ არსებულ მდგომარეობაზე. ეს იქნება პროცესი, ეს არ არის ერთჯერადი ორგანო, რომელიც ერთჯერადად იზრუნებს. რეფორმა ხანგრძლივი პროცესია და საჭიროა მუდმივი ჩართულობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შეცვალოს თავისი დამოკიდებულება უნივერსიტეტების მიმართ.

– კონკრეტულად რა მიმართულებით? როგორია თქვენი ხედვა ამ საკითხზე?

– ქვეყნის განვითარების ავანგარდად და ფლაგმანად უნივერსიტეტი უნდა იქცეს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა, რესურსები, უნდა მოვიზიდოთ ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი. პრაქტიკულად, სრულად ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომ დროში თანმიმდევრობა სხვადასხვა შეიძლება იყოს და კორექტირებას ითხოვდეს. ასევე ვიზიარებ ბატონი გია დვალის კონცეფციას საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების ხარისხის რადიკალურად გაუმჯობესების შესახებ, აკადემიური თავისუფლების დამკვიდრების თაობაზე, რაც, უპირველესად ყოვლისა, ნიშნავს კვლევისა და აზროვნების თავისუფლებას. ყოველივე ამის საფუძველზე უნივერსიტეტი უნდა იქცეს ქვეყნის განვითარების ცენტრად. უნივერსიტეტი არ არის ადგილი, სადაც ახალგაზრდები 18 წლიდან გარკვეულ ასაკამდე უნდა მივაბაროთ, როგორც საბავშვო ბაღში. უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც ქვეყნის მომავალი უნდა გამოიჭედოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თაობებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე. ეს არის რადიკალურად ახალი ამოცანა.

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები მალე ჩატარდება. რომ გვითხრათ, რა ტიპის რექტორი სჭირდება დღეს უნივერსიტეტს?

– რომელსაც ის ხედვა ექნება, რომელზეც უკვე გესაუბრეთ, იმედი მაქვს, უნივერსიტეტში სწორედ ასეთ რექტორს აირჩევენ და თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და სახელმწიფოს შორის და არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებას შორის წარმატებული იქნება. იმედი მაქვს, იმ რექტორს აირჩევენ, რომელსაც ის ხედვა ექნება, რომელიც ქვეყანას სჭირდება.

– კანდიდატებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– ამ კანდიდატებს ჩვენი საზოგადოება იცნობს. ვფიქრობ, აკადემიური საბჭო კანდიდატებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას გაითვალისწინებს.

„ივანიშვილის ხათრით პლასტილინის კაცს პრეზიდენტად ვერ ავირჩევთ“

შორენა კოწოწაშვილი

ვისი ბრალია ჯობა დავითაშვილის ჯოალიციიდან გასვლა და რატომ ნანობს ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლას? – ამ საკითხების იმგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან.

– ბატონო თემურ, რა ვითარება შეიქმნა ივანიშვილის ხელისუფლებიდან მოსვლის 10 თვის თავზე, ელოდით, რომ ასე მოკლე პერიოდში კოალიცია „ქართული ოცნება“ რღვევას დაიწყებდა?

– დრო ადასტურებს ბრძნულ გამოთქმას: სისულელეში შესვლა ადვილია, გამოსვლა – ძნელი, ზოგჯერ, პრაქტიკულად, შეუძლებელი. ჩვენ 9 წლის განმავლობაში შევედით სისულელეში, ხალხი აჰყვა სააკაშვილის ზღაპრებს და დღეს ეს სიმძიმე გვაწევს თავიდან ბოლომდე. ამას ემატება ის, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკისთვის უცხო პიროვნება იყო. სამწუხაროდ, მან გუნდი ვერ შექმნა, ისეთი კონგლომერატი შექმნა, რომელიც დასამარცხებლად არის განწირული. ამიტომ არის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საჭირო. ასეთმა კონგლომერატმა დაღუპა ზვიად გამსახურდია, დაასრულა შევარდნაძე. ასეთი კონგლომერატი დაასრულებს ივანიშვილსაც, თუ თავად არ დაასრულა ეს ყველაფერი. არ შეიძლება შეუთავსებელთა შეთავსება. როგორ შეიძლება, ერთად ყოფილიყვნენ კობა დავითაშვილი და, ვთქვათ, ირაკლი ალასანიას გუნდი. კოალიციაში ბევრი პიროვნებაა, რომლებზეც შემიძლია, ანალოგიური ვთქვა. იდეოლოგიურად სრულიად სხვადასხვა პარტიებია კოალიციურ მმართველობაში. ეს არის „პოლიტიკური აჯაფსანდალი“, რაც ქვეყნისთვის არის დამანგრეველი. პოლიტიკური აჯაფსანდალი ჰქონდა თავიდან სააკაშვილსაც და შემდეგ მონების მმართველობა შექმნა. „პოლიტიკური აჯაფსანდალი“ გააკეთა ბ-ნმა ბიძინამაც. აი, რატომ არ უნდა მაჟორიტარი დეპუტატები. ხედავს, ყველა მაჟორიტარად არჩეულია არა ვინმე სხვა, არამედ ივანიშვილი. ძნელია აკონტროლო მაჟორიტარები, რას აკეთებენ, როგორ დაასხდნენ ხალხს. ამიტომ პოლიტიკურადაც სწორია გადაწყვეტილება, რომ ამ სიტუაციაში ქვეყანას სჭირდება გამოკვეთილი პოლიტიკური პოზიციის მქონე პიროვნებები. ეს არის დანიშნული ბიზნესმენებისა და დანიშნული პოლიტიკოსების ქვეყანა. მეტი რა გინდათ, ვანო მერაბიშვილს პოლიტიკოსი ერქვა. საქართველოში, პირველ რიგში, გასაკეთებელია პოლიტიკური რეფორმა. ამის გარეშე არაფერი გამოვა. პოლიტიკური შეფასების კრიტერიუმები სრულიად სხვა უნდა იყოს. პოლიტიკოსად უნდა გაღიარონ. დღეს საქართველოში ან რამდენიმეკაციანი პარტიაა, ან ქუჩის მყვირალა პოლიტიკოსები. რატომაა ძნელი სიტუაციის შეცვლა? იმიტომ, რომ ყველა ქალაქსა და რაიონში 15-20 კაცს აქვს მონოპოლიზებული პოლიტიკა. ხვალ ვინც ეტყვის მათ, მე დაგაფინანსებთო, იმის პარტიაში გადავლენ. ხალხი სწორად ამბობს, „ჩალიჩმაისტერთა“ არენად იქცა პოლიტიკაო.

– ანუ ივანიშვილი პოლიტიკურ ფლანგზე თავიდანვე არასწორი სვლები გააკეთა?

– რა თქმა უნდა. ჩემს პირველ განცხადებაში, რომელიც ივანიშვილისთვის მტკივნეული აღმოჩნდა, ვთქვი: იცის ივანიშვილმა, სად მოდის?! თუ ვინმეს დავალებით არ მოდის-მეთქი, ძალიან კარგია. მაგრამ, თუ იცის, სად მოდის და ვინმეს დავალებით მოდის, დამანგრეველია. ფაქტია, არ იცოდა, სად მოდიოდა, იმიტომ უნდა ახლა წასვლა. ფიქრობს, იმაზე მეტის გაკეთებას ვერ შეძლებს იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური პარტიები ვერ მართავენ. ასეთ აბსურდს თუ ივანიშვილი ოდესმე მხარს დაუჭერდა, არ მეგონა. პარტია უნდა დაფინანსდეს მიღებული ხმების რაოდენობითო. გააყალბა ხმები ნაცმოძრაობამ და, ამის მიუხედავად, მეტი ფული უნდა მისცე?!. დამანგრეველია ეს გადაწყვეტილება ქვეყნისთვისაც და თავად ივანიშვილისთვისაც. ნაცმოძრაობას, რომელმაც გენოციდი მოუწყო საქართველოს მოსახლეობას და რომლის გასამართლებასაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ითხოვს, 2 მლნ-ით გაუზარდეთ დაფინანსება. დღეს ტელევიზიების 80%ს ეს პარტია აკონტროლებს. ჯერ ერთი, შეცდომა იყო, თითო-თითო მილიონო რომ დაურიგა იმ პარტიებს, რომლებიც მოსწონდა. სხვები უნდა მოვსპოვო. ნახეთ, რომელ პარტიებს არ აფინანსებს, რომელთა მხრებზეც გადაიარა ყველაზე მეტმა დარტყმამ. 90-იანი წლები გადავიდა ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებულ პარტიებზე. ამ დიდმა ეროვნულმა განწყობამ მოიტანა საქართველოში დამოუკიდებლობა. ორი პარტია იყო, რომელმაც უთხრა ივანიშვილს, ოღონდ თქვენ დაასრულეთ ეს რეჟიმი და ჩვენ ვხსნით ჩვენს პარტიებს არჩევნებიდანო. ნინო ბურჯანაძემ განაცხადა ეს და ჩვენ, „თეთრებმა“. მე ქუთაისში კენჭი რომ მეყარა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ვერ გაიმარჯვებდა. როგორ შეიძლება ვიფიქრო, რომ ივანიშვილს სამართლიანობის მოტანა შეუძლია ქვეყანაში. ყველა პარტია გაჩერდა, რომელიც ფულით დააკმაყოფილეს. მრცხვენია იმ პარტიების გამო, რომლებსაც დაფინანსება არ ეკუთვნოდათ, მიიღეს და იციან, რომ ბურჯანაძე და „თეთრები“ არ ფინანსდება, ეროვნული პარტიები არ ფინანსდებიან, უხარიათ და ბანკეტებს მართავენ, ფული ხომ მოვიპოვეთო. დიდმა ფულმა გაანადგურა ეს ქვეყანა. ფული არის სწორედ ამ უზნეო პოლიტიკოსების და დანიშნული ბიზნესმენი მეჯღანუაშვილების ხელში. ორი სისხლისმწოველი ჰყავს დღეს ქვეყანას: მედროვე პოლიტიკოსები ანუ ის ყვარყვარეები, რასაც ჰქვია და ესენი აკეთებენ მეჯღანუაშვილების ტირაჟირებას. მეჯღანუაშვილი უფრო პროგრესული პიროვნება იყო თავის ეპოქაში, ვიდრე დღევანდელი ბიზნესმენები არიან დღევანდელ პროგრესთან დაკავშირებით.

– ანუ დღეს პოლიტიკური ელიტა სახელმწიფოებრივ პოლიტიკას კი არ ატარებს, ვაჭრობაშია ჩართული და ფულის შოვნაში...

– ფული, რა თქმა უნდა აუცილებელია, მაგრამ ქვეყნის განვითარების წინაპირობა კონკურენტული გარემოა. სად არის დღეს კონკურენტული გარემო? მილიონ-მილიონი რომ მისცა ივანიშვილმა თავის სასურველ პარტიებს, ამით კონკურენტული გარემო მოსპო. როგორ შეიძლება, მერაბ ბერძენიშვილი გყავდეს და იმას არ ეთათბირებოდე. ბერძენიშვილთან კოსმოპოლიტი რომ შეხვიდე, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული გამოხვალ. სამაგიეროდ, ჩვენი პოლიტიკოსები რიგში დგანან ამერიკის ელჩთან, უგზავნიან წერილებს, მიგვიღეო. ამერიკის ელჩთან მივიდე და ვუჩივლო ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“, დემოკრატიული გარემო არ არისო?! როგორ შეიძლება, ასეთი რამ გავაკეთო. ბურჯანაძე ამერიკის ელჩთან რომ არ მისულიყო, ათას რამეს მიაკერებდნენ. ვიმეორებ, შეცდომაა ამერიკის ელჩთან გუნდ-გუნდად საჩივლელად მისვლა. უნდა გამოვიდეთ ამ მონური ფსიქოლოგიიდან.

– ივანიშვილი მუდმივად აფიქსირებს, რომ ქვეყანაში დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემოა და ეს პირველმა ოქტომბერმა მოიტანა.

– დღეს საქართველოს მოსახლეობა პრეზიდენტად მარგველაშვილის ამრჩევი რომ არ არის, ეს ფაქტია. თუ აირჩევენ, აირჩევენ ივანიშვილის ხათრით. ივანიშვილის ხათრით არის ყველა დეპუტატი არჩეული. ახლა კიდევ პრეზიდენტიც მისი ხათრით ავირჩიოთ? სამარცხვინოა ეს. ეს ნიშნავს, რომ მონების ქვეყანა ვართ. ივანიშვილს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, გამორიცხულია, ხმა იმ კაცს მივცე პრეზიდენტად, პლასტილინი რომ უწოდა თავის თავს და რომელმაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ შექმნა. საქართველოს დღეს სჭირდება ქართული განწყობის ადამიანი. ჩემზე მეტად დაპირისპირებული ვინ იყო ბურჯანაძესთან, მაგრამ ამ არჩევნებში მხარს მას ვუჭერ. ეს არის პიროვნება, ქართული ტრადიციის პატივისმცემელია და ვიცი, ამერიკასთან ურთიერთობაშიც ზომიერება ექნება და რუსეთთან ურთიერთობაშიც. ეს ზომიერება გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე დღეს გვაქვს ამერიკასთან ურთიერთობა. ყველაფერზე შემიძლია უკან დავიხიო და ვთქვა, ოღონდ მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ არა ვართ მონები, არავის არაფერს ვეხვეწებით.

– რატომ ფიქრობთ, რომ პრემიერ-მინისტრი მძიმე მდგომარეობაშია?

– იმიტომ არის მძიმე მდგომარეობაში, რომ არ იცოდა, საქართველოში როგორი იყო პოლიტიკოსთა მდგომარეობა. ივანიშვილს ეგონა, მისდამი ერთგულად ნათქვამი სიტყვა ქვეყნის ერთგულებას ნიშნავს. კობა დავითაშვილი რომ კოალიციიდან გავიდა, როგორ ფიქრობთ, ეს დავითაშვილის ბრალია? თავიდანვე არასწორი გადაწყვეტილება იყო, დავითაშვილი კოალიციაში რომ მიიწვია. ივანიშვილს იმის მიხედვით კი არ უნდა შეერჩია ხალხი, ვინ გაეგებოდა ფეხქვეშ, არამედ, იმის მიხედვით, ვინ როგორ ემსახურა ამ ქვეყანას.

– მაინც რა იყო დავითაშვილის კოალიციიდან გამოსვლის მიზეზი? თავად განაცხადა, რომ ბაჩო ახალაიას ორ ბრალდებაში გამართლება იყო ამის მთავარი ფაქტორი.

– ახალაიასთან რაც დაფიქსირდა, ამისთვის კი არ უნდა წამოხვიდე, უნდა შიგნით დარჩე და გამაგრდე. ხედავთ, ნაცმოძრაობამ როგორ შეაფასა – ივანიშვილს პასუხისმგებლობა აღარ უნდა აიღოს შემდგომ მომავალზეო. ნაციონალებს რომ ხმის ამოღების საშუალება აქვთ დღეს კიდევ ამ ქვეყანაში, ესა დავითაშვილისა და „ქართული ოცნების“ ბრალი და იმის, რასაც ისინი იქ აკეთებდნენ ამდენი ხნის მანძილზე. დამოუკიდებელ საქართველოში პარლამენტი ყოველთვის იყო დემაგოგიური და დანიშნული პოლიტიკოსებით სავსე.

პედაგოგთა საგამოცდო პროგრამები საგაკვეთილო პროცესზე ორიენტირებული არ არის

მერი ნამორაძე

ინტერვიუ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტ მაია ჯობახიძესთან

– ქალბატონო მაია, პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების პირველადი შედეგები არასახარბიელოდ შეფასდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა წელს ასეთი შედეგების დაფიქსირება?

– გავიხსენოთ 2011 წლის გამოცდების შედეგები, როდესაც 10 ათასამდე მასწავლებელმა გაიარა სასერტიფიკაციო გამოცდა და მხოლოდ ათასმა პედაგოგმა მიიღო სერტიფიკატი. და ეს გახდა მასწავლებელთა დისკრედიტაციისათვის გამიზნული ისეთი თემა, ტელევიზიებმა და ზოგიერთმა ჟურნალისტმა შოუშიც კი გამოიყენა, სიტყვა-სიტყვით გეტყვით, რომ თურმე, საქართველოს ჰყოლია 9 ათასი გაუნათლებელი პედაგოგი. ჩვენ ამასთან დაკავშირებით განცხადება გავაკეთეთ. რა თქმა უნდა, აღვნიშნეთ და აღვწერეთ პრობლემა. პრობლემა იყო შემდეგი – მასწავლებლებს ჰქონდათ უფლება, ჩაებარებინათ ერთი გამოცდა. კანონით პედაგოგს მინიჭებული აქვს უფლება, თითო გამოცდა სხვადასხვა პერიოდში ჩააბაროს. აღმოჩნდა, რომ 6 ათასზე მეტ მასწავლებელს ერთი გამოცდა წარმატებით ჰქონდა ჩაბარებული. ზოგიერთმა პედაგოგმა გაასაჩივრა დაფიქსირებული შედეგი. რადგან ეს პროცესი ფასიანი იყო, ბევრმა ვერ მოახერხა გასაჩივრება, ხელი ჩაიქნია და არ მიმართა სააპელაციოს. აპელაციის შედეგად კი აღმოჩნდა, რომ 486 ნამუშევარი იმსახურებდა სერტიფიკატს. წარმოიდგინეთ, გამსწორებლის მიერ დაშვებული 486 შეცდომა. ამდენმა ადამიანმა აპელაციის შემდეგ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ეს მაგალითი იმისათვის მოვიყვანე, დაგარწმუნოთ, რომ მხოლოდ წელს არ არის ეს პრობლემა, რა პრობლემაზეც დიდი ხმაურია ატეხილი. საერთოდ, შედეგებში არ არის პრობლემა. პრობლემა უნდა ვეძებოთ პროცესში. თუ პროცესი არის თანმიმდევრული, სწორად წარმართული, თუ სერტიფიცირების მოდელი არის დახვეწილი, მაშინ შედეგი თავისთავად იქნება. ამ შედეგებმა პირველად არა, კიდევ ერთხელ მიგვანიშნა ღრმა კრიზისზე, რომელიც არსებობს მასწავლებლის პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

– როგორ ფიქრობთ, იმის გაცხადება, რომ შედეგები არასახარბიელოა, დაამცირებს თუ არა პედაგოგს მშობელთა და მოსწავლეთა თვალში?

– პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა განცხადება გავაკეთეთ, როდესაც გამოცხადდა, რომ მასწავლებლები „შპარგალკებით“ გამოცხადდნენ. მაშინ მოგვმართა უამრავმა სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა და გვითხრა – ჩვენ გვრცხვენია სექტემბერში წარვდგეთ მოსწავლეთა და მშობელთა წინაშე, რადგან ვერავინ განასხვავებს, ჩვენ ვართ „შპარგალკიანი“ მასწავლებელი, თუ ასეთი არის სხვაო. სწორი და მართლზომიერი იქნებოდა, დასახელებულიყო რაოდენობა, 26 ათასი მასწავლებელი გამოცხადდა „შპარგალკით“? რატომ არ დასახელდა კონკრეტული ციფრი, რამდენი იყო ასეთი პედაგოგი, ორმოცდაათი? ოთხმოცი? ასორმოცდაათი? ამ განცხადებამ გამოიწვია 67 ათასი პედაგოგის ავტორიტეტის შელახვა. ბუნებრივია, საზოგადოება ვერ ხვდება, სად არის პრობლემების სათავე, რეფორმის შეცდომები იქნება თუ სისტემის ხარვეზები, ყველაფერი ისევ უნდა გადატყდეს პედაგოგზე. რას ემსახურება სერტიფიცირება, რას უნდა ემსახურებოდეს? – მასწავლებლის პროფესიონალიზმისა და ავტორიტეტის ამაღლებას. არადა წლების განმავლობაში ემსახურება პედაგოგის დისკრედიტაციას.

– თქვენ მოუწოდებთ გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ზუსტად გამოაქვეყნოს, რამდენია მოქმედ მასწავლებელთაგან ჩაჭრილი და რამდენია მაძიებელი მათ შორის. რა მნიშვნელობა აქვს ასეთ დაკონკრეტებას?

– ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ როცა მრავალწლიანი სტაჟი და გამოცდილება აქვს მასწავლებელს, მას აქვს წარმატებული შედეგები, მაღალი ავტორიტეტი, მის სახელსაც ლაქა მოეცხო და იმ პედაგოგის სახელსაც, რომელიც ჯერ მხოლოდ მაძიებელია და არც პროფესიონალია, არც დაუფლებია ამ პროფესიას. არ უსწავლია სიღრმისეულად, რას ნიშნავს საგაკვეთილო პროცესის წარმართვა. ამას ძალიან დიდი დატვირთვა აქვს. მოქმედი კანონმდებლობა საშუალებას იძლევა სასერტიფიკაციო პროცესში მიიღოს მონაწილეობა პირმა, რომელსაც ერთი წლის მუშაობის სტაჟი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ეს არ ზღუდავს, არის თუ არა ამ ეტაპზე მოქმედი პედაგოგი. არ ზღუდავს იმას, რომ მასწავლებელმა შეიძლება საუნივერსიტეტო განათლება მიიღო ამა თუ იმ საგანში და იმ საგნის პედაგოგი იყო წლების განმავლობაში, მაგრამ გაუჩნდა სურვილი, სხვა საგანში ჩააბაროს გამოცდა და მოსინჯოს ბედი. ასეთი შემთხვევა ბევრია, მაგალითად, ძალიან ბევრმა ფიზიკა-ქიმიის მასწავლებელმა მოინდომა მათემატიკა ჩაებარებინა; ხელოვნების და რელიგიის პედაგოგებმა გადაწყვიტეს, დაწყებითის გამოცდა ჩააბარონ, ამის უფლებას მათ კანონმდებლობა აძლევთ. ასე რომ, მშრალი ციფრებით მანიპულირებას უარვყოფთ, ვაპროტესტებთ და საჭიროა ზუსტი სტატისტიკა, რომ საზოგადოებას მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია.

არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ზოგიერთმა მოქმედმა მასწავლებელმა ვერ ჩააბარა გამოცდა. გამოცდა არის სტრესი, იქ იმდენი სიახლე და ისეთი საკითხებია, რომელშიც განათლება არ მიუღიათ უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლებს, შემდგომ პერიოდშიც მათ გადამზადება არ გაუვლიათ. ასეთი წარუმატებელი შემთხვევები იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას ჰყავს 67 ათასი არაპროფესიონალი პედაგოგი. არ შეიძლება ამდენი მასწავლებელი „დააყენო კუთხეში“ და მასზე გადატეხო ჯოხი. ის, რაც არის გაუმართავი, აბსოლუტურად ნაკლოვანებებით სავსე სერტიფიცირების მოდელი არ უნდა გადაბრალდეს მასწავლებელს.

– თქვენ ყურადღებას ამახვილებდით საგამოცდო პროგრამების დიდ მოცულობაზე. სხვა ქვეყნებს რა გამოცდილება აქვთ ამ კუთხით, თუ მხოლოდ ჩვენს პედაგოგებს მოეთხოვებათ ზღვა მასალის დაძლევა?

– როგორც გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა განაცხადა, საერთაშორისო ექსპერტები მუშაობდნენ სასერტიფიკაციო საგამოცდო პროგრამების შექმნაზე, მაგრამ რამდენად მოერგო ეს ქართულ რეალობას? მასწავლებლებს, რომლებსაც 10 წლის განმავლობაში არ ჰქონდათ საგამოცდო, პროფესიული გადამზადების არანაირი საშუალება, ამ მასწავლებლებს უნდა მოვთხოვოთ საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით გამოცდის ჩაბარება? რატომ ხდება ასე, რომ მასწავლებელი არაჩვეულებრივია გაკვეთილზე, აქვს წარმატებული შედეგები, მაგრამ ვერ დაძლია სასერტიფიკაციო გამოცდების პროგრამა. ესე იგი, არ არის ქართულ რეალობაზე მორგებული და ეს პროგრამები საერთოდ არ არის ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესზე.

– პედაგოგები თუ აპირებენ გააპროტესტონ ეს ყველაფერი?

– პედაგოგები არ დუმან. ჩვენი ორგანიზაციის ფეისბუქზე ძალიან დიდი გამოხმაურებაა. ასევე გვიკავშირდებიან რაიონებიდან ტელეფონით. მათ იციან, რომ ჰყავთ წარმომადგენლობითი ორგანიზაცია – პროფკავშირი და ანალიზის თუ საჯარო განცხადების გაკეთებას ელოდებოდნენ ჩვენგან. ჩვენ გავაკეთეთ მიმოხილვა ამ შედეგების გამომწვევი მიზეზების და გავაკეთეთ ღია განცხადება.

ბიძინა ივანიშვილი: „პუტინთან შესახვედრად მზად ვარ, მაგრამ ახლა ამის საფუძველი არ არსებობს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრემიერი ბიძინა ივანიშვილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შესახვედრად მზად არის. მასთან საღამოს ბევრი აქვს, თუმცა, მისი თქმით, ჯერ შეხვედრისთვის საფუძველი არ არსებობს.

– ახლა შეხვედრისთვის საფუძველი არ არსებობს. ამას სჭირდება უფრო მეტი პოზიტივი, უფრო მეტი გათელვა ორმხრივი ურთიერთობების. ამას სჭირდება დრო, თუმცა ჩვენი მხრიდან ამის მზაობა და სურვილი არსებობს, – ამის შესახებ ივანიშვილმა „ამერიკის ხმის“ მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელ ჯეიმს ბრუკისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ქართველ ხალხს რუსი ხალხი, რუს ხალხს კი ქართველები უყვარს. ამის მიუხედავად, მისი თქმით, ურთიერთობების დალაგებას მაინც დიდი დროს დასჭირდება. ამ დროისთვის მიღწეული შედეგით ივანიშვილი კმაყოფილია.

– მე ვფიქრობ, რომ რაც შეიძლებოდა ამ მოკლე დროში მივაღწიეთ და სავაჭრო ურთიერთობები აღვადგინეთ, რომელთა გაღრმავება და გაფართოება შეიძლება. ამას გარდა, ვფიქრობ, რომ რეალისტურად, რაც შეიძლება მოყვეს, იქნება მუდმივი ავიარეისების აღდგენა და შესაძლოა, გამარტივდეს რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმი ან საერთოდ გაუქმდეს ის. რაც შეეხება შორეულ პერსპექტივას, იმას, რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით და რაც აუცილებლად უნდა მოხდეს, ჩემი აზრით, უფრო მეტი დრო დასჭირდება, რათა დავალაგოთ და აღვადგინოთ ის მეგობრული ურთიერთობები, რაც ჩვენ რუსებთან გვქონდა. ამას დასჭირდება დრო, ხანგრძლივი დრო, თუმცა ეს დროში განვითარდება და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ და დავალაგებთ ურთიერთობებს. თქვენ სწორად შენიშნეთ, რომ ტურისტების რაოდენობა გაიზარდა, რაც მისასალმებელია. ქართველ ხალხს უყვარს რუსი ხალხი და რუს ხალხს უყვარს ქართველები. არსებობს დიდი სურვილი და ნოსტალგია და შემთხვევითი არ არის, რომ ტურისტების რაოდენობა გაიზარდა, – აღნიშნა ივანიშვილმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა რუსი სამხედროების მიერ მავთულხლართების გავლებაზეც ისაუბრა. კონფლიქტის ზონაში რუსები ამ საქმიანობით ბოლო დროს ძალიან გაერთნენ. ბიძინა ივანიშვილი მავთულხლართებში დიდ პრობლემას ვერ ხედავს და ამ აქტივობას სოჭის ოლიმპიადას უკავშირებს.

ივანიშვილის თქმით, ის, რაც რუსეთის ე.წ. საზღვრებთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით ხდება, ძირითადად დაკავშირებულია ოლიმპიადასთან. მისი თქმით, ახლა ნერვიულობა იგრძნობა რუსეთის მხარეს და მას დიდი იმედი აქვს, რომ ოლიმპიადის შემდეგ გაიოლდება და უფრო პოზიტიური, კონსტრუქციული გახდება ორმხრივი ურთიერთობა.

ჟურნალისტის კითხვაზე – გამოიყენება თუ არა აფხაზეთი, როგორც ბუფერული ზონა რუსეთთან ურთიერთობაში, ივანიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთი, „თუ მართლაც ბუფერად აღიქმება, მაშინ ეს ილუზია უნდა დაიმსხვრეს.

– ჩვენ რუსეთთან ურთიერთობაში არ გვჭირდება არანაირი ბუფერი. რაც შეეხება აფხაზეთს, ერთადერთი გზა არის მეგობრული, ძმური, არც ერთ შემთხვევაში საუბრის დონეზეც კი ძალა არ უნდა იყოს ნახსენები. ამისთვის ჩვენ სამართლებრივი, დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ და მათ ჩვენთან თანაცხოვრების ინტერესი უნდა გავუჩინოთ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ქვეყნის პრემიერმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გარდა სხვა თემებზეც ისაუბრა. ის საქართველოში შექმნილ ვითარებასაც შეეხო, ისაუბრა სამართლიანობის აღდგენაზეც.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, საქართველოს ახალი მთავრობა რეალურად უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, შრომითი უფლებების დაცვას, განათლების სექტორის ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე გამიზნული რეფორმის გატარებას და უკვე ამა წლის ივლისიდან საყოველთაო ჯანდაცვას; საკონსტიტუციო რეფორმას, რომლის ძალითაც განხორციელდება ძალაუფლების ეფექტური განაწილება ხელისუფლების შტოებს შორის.

– რაც შეეხება მართლმსაჯულებას, ადამიანის უფლებათა შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გასული წლის ანგარიშში, რომელიც ეხმიანება ევროკავშირის ყოველწლიურ შეფასება-ანგარიშს საქართველოს შესახებ, ხაზგასმულია წამებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული ბრალდებების გამოძიების აუცილებლობა. სწორედ ამას ვაკეთებთ ჩვენ დღეს. ჩვენ გადავდგით რეალური ნაბიჯები სისხლის სამართლის ლიბერალიზაციისკენ. ამიერიდან ბრალდებულები წარდგებიან დამოუკიდებელი მოსამართლის წინაშე მედიისათვის ღია სასამართლო დარბაზში. ამას წინათ მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღიარა, რომ მისი ხელისუფლების პირობებში „მართლმსაჯულების სისტემა არ იყო სრულიად დამოუკიდებელი“. ჩვენ კი ეს შევცვალეთ. არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ მოქალაქეებმა შეიტანეს 20 000 საჩივარი ხელისუფლების ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ. ჩვენი მართლმსაჯულების სისტემა იძიებს ამ საქმეებს და მიჰყვება სათანადო სამართლებრივ პროცედურას თომას ჰამერბერგის (ევროკავშირის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში), აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტისა და სახელმწიფო დეპარტამენტის, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ზედამიწევნითი მეთვალყურეობის ქვეშ.

ჩვენ ასევე ვახორციელებთ კონკრეტულ რეფორმებს ეკონომიკის სფეროში, ვმუშაობთ სოფლის მეურნეობის აღდგენაზე, ვქმნით სამართლიან საგადასახადო სისტემას, უზრუნველვყოფთ პოლიტიკური ზეწოლისა და ბიზნესის გამოძალვის პრაქტიკის შეწყვეტას. მცირედი გაურკვევლობის შემდეგ, რომელიც მოჰყვა არჩევნებს, კვლავ იმატა ინვესტიციებისა და ექსპორტის მასშტაბმა. ჩვენ მიერ გატარებული რეფორმები დიდძალ მოგებას მოიტანს მომდევნო ათწლეულში.

მიუხედავად მკაფიო წინსვლისა, ჩვენს ხელისუფლებას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ ისინი, ვინც მოკავშირეებად უნდა მოიაზრებოდნენ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისაკენ მიმავალ გზაზე. მავანთა მცირერიცხოვანი, მაგრამ ხმამაღალი ჯგუფები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელთა დიდი ნაწილი წარსულში უგულებელყოფდა ოფიციალურ ანგარიშებს ჩადენილი დანაშაულების შესახებ, დღეს დეზინფორმაციის საფუძველზე გამოთქვამენ აღშფოთებას ყოფილი თანამდებობის პირთა დაკავების გამო და ანტიდემოკრატიულ ქმედებად მოიხსენებენ მას. საქართველოს უგულებელყოფა მისი ისტორიის ასეთ კრიტიკულ მონაკვეთზე წინდაუხედაობაა და შეიცავს პოტენციური დესტაბილიზაციის რისკს ამ მცირე ქვეყანაში, რომელიც განლაგებულია მეტად სახიფათო რეგიონში. მე ვთხოვ ჩვენს კრიტიკოსებს, შეხედონ ფაქტებს: ჩვენ მივყვებით სათანადო სამართლებრივ პროცედურებს საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ. გარდა ამისა, ჩვენ ვიწვევთ საერთაშორისო მონიტორებს სასამართლო პროცესებისა და ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ზედამხედველობის განსახორციელებლად, – აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

ჯეიმს ბრუკისთვის მიცემულ ინტერვიუში ივანიშვილმა იმაზეც ისაუბრა, რომ ოდესღაც ნაციონალური ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი იყო.

– დავრწმუნდი, რომ რეალური ცვლილებების გატარება და ჩვენი დანაწევრებული ქვეყნის გაერთიანების იმედის ხორცშესხმა ითხოვდა ჩემგან ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბებას. მჯერა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნებისა და ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტის მოლოდინში ჩვენ გვჭირდება ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა, რათა შევასრულოთ ჩვენი ამოცანა და რეალობად ვაქციოთ საქართველოს მოქალაქეების მისწრაფებები, რომლებიც თავის დროზე „ვარდების რევოლუციის“ იდეალებს და იმედებს წარმოადგენდა, – აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილი.

შორენა მარსაგიშვილი

გია გაჩეჩილაძე: „მწვანეთა პარტიის გაქრობაზე არც კი იოცნებოთ!“

მორიგი უთანხმოება „ქართულ ოცნებაში“

კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ აშკარად ცუდი პერიოდი დადგა. წინა კვირაში მეოცნებეები კობა დავითაშვილმა დატოვა, გუშინ კი „ქართული ოცნება“ დეპუტატმა გია გაჩეჩილაძემ დაგმო. მწვანეთა პარტიის ლიდერი მეოცნებე კოლეგებს პარტიების დაფინანსების შესახებ ახალი კანონპროექტის გამო გაებუტა.

გუშინ საკანონმდებლო ორგანო ამ კანონს დაჩქარებული წესით განიხილავდა. ახალი კანონის თანახმად, გია გაჩეჩილაძის პარტია დაფინანსებას ვერ მიიღებს. დეპუტატის აზრით, ეს მწვანეთა პარტიის წინააღმდეგ მიმართული კამპანიაა. მწვანეთა პარტიის ლიდერის თქმით, ამას ევროპაში სათანადო და მწვავე რეაქცია მოჰყვება.

– პარტიების დაფინანსების შესახებ ახალი კანონპროექტით გადაწყვეტილებაა მიღებული, რომ ვინც ღებულობდა დაფინანსებას, იმათ დაემატოს და ვინც გარეთაა დარჩენილი, იმათაც მიეცეს. აი, ამ 18 პარტიაში ვერაფრით ვერ მოხვდა მწვანეთა პარტია, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი. რადგან ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და მწვანეთა და სხვა პარტია გაწირეს სიკვდილისთვის, შესაბამისად მწვანეთა პარტია მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. თუ ვინმე იქ ინტრიგებს ხლართავთ, თქვე კაი ადამიანებო, მაშინ უშიშროების სამსახურებმა რეალურად შეისწავლონ რა ხდება საქართველოში. თუ ვინმე ფიქრობს, მწვანეთა პარტიას დააყენებს განადგურების პირას, მაშინ რა რეაქცია მოჰყვება ევროპაში ამას? შეიძლება იციან კიდეც, მაგრამ სპეციალურად აკეთებენ კიდეც.

როცა დელეგაციები კომპლექტდებოდა, მე თავის დროზე მოვითხოვე, რომ როცა დელეგაციას შეხება ექნებოდა ევროპის პარლამენტთან, იმ დელეგაციაში მე ვყოფილიყავი, იმიტომ, რომ მე იქ ბევრი მეგობარი მყავს და ეს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა. 21 წელია პოლიტიკაში ვარ და არც ერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს, რომ არ გამეაზრებინა, ეს სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნებოდა თუ არა. როცა ამ თემაზე პრესკონფერენცია გავმართე, 3 ტელევიზია გაიქცა იქიდან, ვინც დარჩა, იმათ არ გაუშვეს, იმიტომ, რომ დავალება ჰქონდათ. ზოგიერთებს კობა დავითაშვილის გასვლა უმრავლესობიდან გაუხარდათ და ისეთი ზარ-ზეიმი ჰქონდათ, გავოცდი. ბიძინა ივანიშვილს ვთხოვ, რომ არ წავიდეს, მან კიდევ არ იცის, როგორ ჯგუფებთან აქვს საქმე.

ნაცრის შემოტანასთან დაკავშირებით კენჭისყრაზეც კი არ მომცეს ხმის მიცემის უფლება. ძალიან გულსატკენია ეს ყველაფერი, – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

მისი თქმით, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და მას დაფინანსების წესის დახვეწასთან არავითარი საერთო არ აქვს.

– არ მინდა იმგვარად გაიგოთ, თითქოს რამე გვაქვს თქვენს საწინააღმდეგოდ. სერიოზულად იმუშავეთ და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, მაგრამ მაქვს ორი სერიოზული კითხვა. იქიდან გამომდინარე, რომ კანონპროექტით პრინციპი, ფორმულა და სხვა სამართლებრივი საკითხები არ იცვლება და იცვლება მხოლოდ ის, რომ გარკვეულ კატეგორიას – 14 პარტიას დაფინანსება ემატება და ამასთან ერთად, რამდენიმე პარტიას ბონუსად დახმარება ეძლევა, რომ არ გარდაიცვალონ, ეს გადაწყვეტილება არის თუ არა პოლიტიკური? თუ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და აშკარაა, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და არავითარი საერთო მას დაფინანსების წესის დახვეწასთან არ აქვს, მაშინ არის თუ არა პოლიტიკური გადაწყვეტილება ისიც, რომ ორი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტში, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ბრძოლაში ხელი არ შეეშალა, ისინი არ იღებენ დაფინანსებას? ჩვენ ორი პარტია აქ წარმოდგენილი ვართ ჩვენი პარტიის სახელით და ის არგუმენტი, რომ ჩვენ არჩევნებში მონაწილეობა არ მიგვიღია, არ არის სწორი. მაშინ სადა ვართ ახლა და როგორ ვართ პარლამენტში წარმოდგენილი, თუ არჩევნებში მონაწილეობა არ მიგვიღია? – მიმართა გამწარებულმა გაჩეჩილაძემ ზაქარია ქუცნაშვილს.

გაბრაზებული გაჩეჩილაძე პროტესტის ნიშნად უმრავლესობისა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ არც ერთ სხდომას არ დაესწრება. უმრავლესობასაც სიამოვნებით დატოვებდა, მაგრამ ივანიშვილის ხათრით ამ ნაბიჯზე არ მიდის.

– ნორმალური ორგანიზაცია ალბათ მიიღებდა გადაწყვეტილებას, დატოვოს გუნდი, რომელშიც მოღვაწეობს, მაგრამ უმრავლესობიდან „მწვანეთა პარტიის“ გასვლა სერიოზულ პრობლემას შეუქმნის სახელმწიფოს საგარეო არენაზე, განსაკუთრებით ევროპის პარლამენტში, ასევე, ამ გუნდში წარმოდგენილი არიან ჩვენთვის საყვარელი და პატივსაცემი

ადამიანები და არსებობს კაცი – ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ და არ შემიძლია მას ვუღალატო, ვერ მივიღებ გადაწყვეტილებას უმრავლესობიდან გასვლის შესახებ, ყოველ შემთხვევაში, იმ დრომდე, ვიდრე ივანიშვილია პოლიტიკაში. ვიღებ გადაწყვეტილებას, უმრავლესობის და ფრაქციის სხდომას არ დავესწრო. ასეთი დამოკიდებულება გუნდის შიგნით მიუღებელია და თუ ვინმემ დაგეგმა, რომ „სოციალ-დემოკრატიული პარტია“ და „მწვანეთა პარტია“ უნდა გაქრნენ, ამაზე ნურც იოცნებებთ!. – გააფრთხილა გაჩეჩილაძემ გუნდის წევრები.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მოქმედი კანონით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებზე გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს ის პარტია, რომელმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახა 4%-იანი ბარიერი ან უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში – 3%-იანი ბარიერი. საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ბოლო ცვლილებებით, საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებაში ბარიერი შემცირებულია.

თავის მხრივ, საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“ ექვსმა პოლიტიკურმა სუბიექტმა დააფუძნა. კოალიციის ფარგლებში პარლამენტში გავიდნენ თავად გია გაჩეჩილაძე და გია ჟორჟოლიანი, თუმცა მათი პარტიები – „მწვანეთა პარტია“ და „სოციალ-დემოკრატიული პარტია“ ბლოკის დამფუძნებლები არ არიან და, შესაბამისად, არც საბიუჯეტო დაფინანსება ეკუთვნით.

გაჩეჩილაძემ ეს იცის, მაგრამ მაინც ნაწყენია და ამიტომ უმრავლესობის სხდომებს პროტესტის ნიშნად აღარ დაესწრება. ივანიშვილის გადადგომის შემთხვევაში კი უმრავლესობასაც დატოვებს.

სანდრო ბრეგაძე: „ეს კოჰაბიტაცია უკვე ყელში ამოვიდა!“

რა პრეტენზიები აქვს ხალხს დავით საგანელიძესთან

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ეროვნულების ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

– ბატონო სანდრო, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ ბოლოდროინდელ პროცესებს?

– ყველაზე მეტად მე მაღელვებს ის საერთო პოლიტიკური კლიმატი, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაშია და რომელიც სახარბიელო ნამდვილად არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მეც და ძალიან ბევრსაც მოლოდინი გვქონდა იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიური კლიმატი რადიკალურად იქნებოდა შეცვლილი, ჩვენ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავთ. ამას კი ვერ ვხედავთ იმ არაპროფესიონალიზმის გამო, რომელი არაპროფესიონალიზმითაც გამოირჩეოდა საკაშვილის ხელისუფლება და ჩემდა სამწუხაროდ, ასეთივე ნიშნები არის ახალ ხელისუფლებაშიც.

– არაპროფესიონალიზმში რას გულისხმობთ?

– არაპროფესიონალიზმის ყველაზე ნათელი დადასტურება გახლდათ ახალაიას საქმე. ჩვენ არაპროფესიონალების და დილეტანტების შედეგად მივიღეთ შედეგი, რომელი შედეგიც გასაოცარია. ძალიან უნდა მოინდომო ადამიანმა, რომ ისეთი სისხლის სამართლის დამნაშავე და ავაზაკი, როგორიც ახალაიაა, წარმოაჩინო გამართლებულ მსჯავრდებულად. მაშინ, როდესაც მე თავის დროზე ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურების პირველ პირებს ვესაუბრებოდი იმის თაობაზე, რომ ახალაიას და მისი ჯგუფის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები, იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ვიღაცას რესტორანში სცემეს, ან ჯარისკაცები ავარჯიშეს წვიმიან ამინდში, იყო ძალიან სუსტი და ეს შეიძლება ბუმერანგივით მობრუნებოდა ახალ ხელისუფლებას. მე ვიღებდი ერთსა და იმავე პასუხს, რომ – ძალიან გთხოვ, გულშემატკივრის პოზიციიდან თუ გვიყურებ, გვაცადე და ნახავ, რა შედეგი დადგებაო. შედეგი დადგა კიდეც, მაგრამ დადგა სავალალო, სამარცხვინო და დამცინავი ქართველი ერის და საქართველოს მოსახლეობისთვის. მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერმა ნათლად აჩვენა, რომ სახელმწიფოს ქვედა რგოლებში მართავენ სააკაშვილის დროინდელი არაპროფესიონალი ჩინოვნიკები. მინისტრების დონეზე, რა თქმა უნდა, შეცვლილია, მაგრამ მოადგილეებისა და სამმართველოების დონეზე ფაქტობრივად არაფერი არ შეცვლილა. ან არიან სააკაშვილის სტრუქტურის წარმომადგენლები, ან არიან არაპროფესიონალები, რომლებიც საიდან მოვიდნენ, ღმერთმა უწყის. დღეს ის ადამიანები, რომლებიც შიშველი ხელებით ებრძოდნენ სააკაშვილის პირსისხლიან რეჟიმს და რომლებმაც მოიტანეს პირველი ოქტომბრის გამარჯვება, მათი აბსოლუტური უმრავლესობა თამაშგარე მდგომარეობაში არის დარჩენილი. ეს ადამიანები არა თუ ჩაბმულნი არიან ქვეყნის სამსახურში, არამედ საერთოდ იგნორირებულები და წინწამოწეულები არიან სააკაშვილის დროინდელი ჩინოვნიკები. ის ავაზაკები, რომლებიც ყველა იმ სიბინძურეს ჩადიოდნენ, რომელიც ჩვენ სახეზე გვქონდა მთელი 9 წლის განმავლობაში. იგივე ითქმის პროკურატურაზეც, ფაქტობრივად, იქ კბილაშვილის და მისი მოადგილის გარდა, აბსოლუტურად არავინ არ არის ახალი კადრი, რომელი კადრიც გააკეთილშობილებდა იმ საშინელ სისტემას, რომელი სისტემაც ადეიშვილმა ჩამოაყალიბა. ეს იგივე ხალხია, რომლებიც თავის დროზე ადეიშვილს ემსახურებოდნენ და ამავდროულად არიან არაპროფესიონალები და აზრზე არ არიან, რა უნდა გააკეთონ. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ახალაიაც გამართლდა და მისი ამფსონებიც. დღეს ჩვენ ქვეყანაში რაიმე ხელშესახები სიტუაციის გაუმჯობესება არა გვაქვს, რაც ძალიან ცუდის მანიშნებელი მოვლენაა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

– ეკონომიკურ სიტუაციას რაც შეეხება ბატონო სანდრო?

– იგივე ხდება ეკონომიკურ სფეროშიც. ზუსტად იგივე ოპერატორები ფუნქციონირებენ საქართველოში, რომლებსაც სწორედ ნაციონალური მოძრაობის, მერაბიშვილის, ადეიშვილის, ახალაიას და თვითონ სააკაშვილის ხელდასმით, პირდაპირ ნაჩუქარი ჰქონდათ ბიზნესის სხვადასხვა სფეროები. მე პირდაპირ დავასახელებ, თუნდაც ასეთი არის სააფთიაქო სფეროში პსპ და ავერსი. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ერთსაც და მეორესაც ლობირებდნენ სააკაშვილის ოჯახის წევრები. თუნდაც საწვავის სფერო ავიღოთ, ყველამ კარგად იცის, რომ სოკარის ძირითადი მეწილე არის სანდრა რულოვსი, ვისოლზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი. ვისოლის მეწილეები სააკაშვილის ოჯახის წევრები არიან. რომპეტროლი თემურ ალასანიასთან ასოცირდება, გალფი – კეზერაშვილთან. ერთი ახალი ოპერატორიც კი ან სააფთიაქო, ან საწვავის სფეროში არ შემოსულა. ისევ იგივე ხალხია, ისევ იგივე მონოპოლისტები არიან და ისევ იგივე ფასებია. ჩვენ ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, რომ ბატონმა ივანიშვილმა პირველივე სხდომაზე საკმაოდ მკაცრი და კრიტიკული შეფასება მისცა ავერსის საქმიანობას, პირდაპირ უთხრა მის მფლობელს, რომ ისინი სპეციალურად ზრდიან ფასებს, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ? – არაფერი. ისევ ის სიტუაციაა, რაც მანამდე იყო. ეს ყველაფერი აისახება ეკონომიკაზე, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე და აბსოლუტურად ყველა სფეროზე. ამ ყველაფერს ერთობლიობაში რომ შეხედავ, დაინახავ, რომ ქვეყანაში მდგომარეობა სახარბიელო არ არის. კი, რა თქმა უნდა, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხმა იმატა, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიური კუთხით სერიოზული წინსვლა, ჩემდა სამწუხაროდ, არ არის.

– ბატონო სანდრო, ყველა საუბრობს იმაზე, რომ ქვეყანაში სერიოზული პრობლემებია, რატომ ვერ ან არ გაართვა თავი ამას ახალმა ხელისუფლებამ? იმაზეც მიდის საუბარი, რომ ბიზნესების გადანაწილება მოხდა და ნაციონალებს წილში მეოცნებეები ჩაუსხდნენო...

– მე გეტყვით ერთ კარგ მაგალითს და მინდა, რომ ეს პირდაპირ ასე დაიწეროს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ სომხეთში აზერბაიჯანიდან ვერ შედის ნავთობი, იმიტომ, რომ აზერბაიჯანს აქვს ემბარგო დაწესებული სომხეთში ნავთობის მიწოდებაზე. აქედან გამომდინარე, სომხებს აქვთ ერთადერთი გზა, ეს არის საქართველოს გავლით შემოვიდეს ნავთობი ბათუმის და ფოთის პორტში და შემდგომში იქიდან წავიდეს სომხეთის მიმართულებით. ანუ ერთადერთი წყარო, რომელიც სომხეთს ნავთობს აწვდის, ეს არის საქართველო. აქ არ არის საუბარი მარტო საავტომობილო ბენზინზე, აქ საუბარია სასოფლო სამეურნეო საწვავზე, აქ არის ავიაციაზე, ჯარის მომარაგებაზე, საუბარია მაზუთზე, რომელიც ამუშავებს თბოელექტროსადგურებს. ანუ არის ძალიან დიდი ტვირთბრუნვა საწვავის მხრივ სომხეთის მიმართულებით. დაახლოებით ეს ბიზნესი ტოვებდა თვეში 50 მილიონ ევროს, სუფთა მოგებას და ამ 50 მილიონ ევროს იჯიბავდა კეზერაშვილი და კეზერაშვილს, რა თქმა უნდა, ძირითადი თანხები მიჰქონდა სააკაშვილთან. ეს თანხა წელიწადში ერთ მილიარდ ლარზე მეტს შეადგენს. მას შემდეგ, რაც ხელისუფლების ცვლილება მოხდა, ეს ბიზნესი გადაიბარეს სხვებმა. კეზერაშვილი ისევ არის ამ ბიზნესში, მაგრამ ძირითადი ნაწილი გადაიბარეს სხვებმა და ეს ადამიანები აცხადებენ, რომ არიან ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები. როდესაც ჩვენ ასეთ ფაქტთან გვაქვს საქმე, როდესაც არაფერი არ იცვლება და ერთი მონოპოლისტია, რომელიც მთელ სომხეთს ამარაგებს საწვავით, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერ დაინახავს ცვლილებას. ეს ერთი პრობლემა და მეორე სერიოზული პრობლემა არაპროფესიონალი კადრებია. ბევრი პროფესიონალი იურისტი ვიცი, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძოდნენ და ისინი არც ერთი სამსახურში არ დაუბრუნებიათ. ისინი კვლავ უმუშევრები არიან და სახელმწიფო დარჩენილია სააკაშვილის კადრებზე, ან ვიღაცის ნაცნობ-ნათესავებსა და მეგობრებზე. ასევე მიმდინარეობს მიზანმიმართული საბოტაჟი, რომელიც, რა თქმა უნდა, არსებობს და რომელსაც საკმაოდ წარმატებულად ახორციელებენ ნაციონალების მიერ ჩატოვებული საკმაოდ ბევრი თანამდებობის პირი. ვერავინ ვერ დააბრალებს „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის წევრებს, რომ ისინი არიან ხელისუფლებაში და ისინი აკეთებენ საქმეს. გავიმეორებ, რომ პირველი პირების გარდა, მინისტრების გარდა, ფაქტობრივად არავინაც არ შეცვლილა, თვით მინისტრის მოადგილეების დონეზეც კი. ეს შეცდომები კომპლექსურია და მე ვფიქრობ, ეს შეცდომები ჩვენ მიგვაქანებს სერიოზული კატაკლიზმისკენ.

– სწორედ ეს ხომ არ იყო ახალი ხელისუფლების შეცდომა, როდესაც მათ განაცხადეს, რომ ისინი არ შეეხებოდნენ სააკაშვილის კადრებს და პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან არავის გაუშვებდნენ...

– როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, მან ყველა პროკურორი, ყველა პოლიციელი თუ მოსამართლე, რომელიც თვითონ არ მოსწონდა, გაათავისუფლა და მათ ადგილას მოიყვანა კმარას და თავისუფლების ინსტიტუტის ზონდერები. ყველა ის ადამიანი უკანონოდ გაათავისუფლეს და დღეს რომ ისინი დაბრუნდნენ ამ სტრუქტურებში და ჩაანაცვლონ სააკაშვილის მეხოტბეები, ეს აბსოლუტურად კანონიერი იქნება. თუმცა ეს არ ხდება და ეს ძალიან ცუდია. სწორედ ამიტომ შედეგიც სახეზე გვაქვს. ამას გარდა მართლაც და უკვე ყელში ამოვიდა ეს თავს მოხვეული კოჰაბიტაცია. მე ვფიქრობ, რომ სწორედ კოჰაბიტაციის პოლიტიკაზე აყოლამ გამოიწვია საკმაოდ ბევრი რთული და ცუდი მოვლენა. მართალია დასავლეთის მხრიდან ხდება ამ საკითხზე აპელირება, მაგრამ მოდით ვთქვათ, რომ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონები ვართ ჩვენ. ჩვენ მათ პატივისცემით უნდა მოვეპყრათ, აუცილებლად მათთან უნდა ვიმეგობროთ, მაგრამ ის, რომ რომელიმე ქვეყნის ელჩი აქ წყვეტდეს ახალმა ხელისუფლებამ ვისთან უნდა იმეგობროს და ვისთან არ უნდა იმეგობროს, ან ვინ რომელ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს, ეს ელემენტარულად იგივე პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელი პოლიტიკაც სააკაშვილის დროს იყო. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს კოჰაბიტაცია გახდა ბევრი რამის შემაფერხებელი ფაქტორი. ასევე დღეს, ჩემდა სამწუხაროდ, ძალიან ფართოდ გავრცელდა მლიქვნელობის და მეფის კარზე ქლესების ინსტიტუტი. მაგალითად, როდესაც ჩვენ ამ ინტერვიუს ვწერთ, ბევრი მათგანი მივა ბიძინა ივანიშვილთან და ეტყვის, აი, შეხედეთ, სანდრო ბრეგაძე რეებს წერს და ეს წარმოუჩინოს როგორც კატასტროფა. იმას კი არ ეტყვის, რომ მე ამას გულშემატკივრის პოზიციიდან ვწერ და ვამბობ და მინდა, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდეს და რომ ჩემზე დიდი გულშემატკივარი შესაძლოა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბიძინა ივანიშვილს არც არავინ არ ჰყავდეს. არა, ისინი სხვაგვარად მიუდგებიან საკითხს და აუცილებლად ჭორების დონეზე შეეცდებიან, რომ ჩემი ნააზრევი წარმოაჩინონ მტრულად განწყობილი ადამიანის ნათქვამად. არადა ჩვენ კრიტიკულად უნდა მივუდგეთ საკითხებს, რომ ის დაგროვილი შეცდომები გამოვასწოროთ. ამ შეცდომებმა მავანს არ უნდა მისცეს რევანშის აღების შესაძლებლობა. აქ ვიღაცას ჰგონია, რომ რევანშში წარმოუდგენელია, მაგრამ მე შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ რევანშში არ არის წარმოუდგენელი და თუკი ასე გაგრძელდება პროცესები, რევანშში კარს მოგვადგა და ეს რევანშში არ იქნება ისეთი, როგორიც შეიძლება ბევრს წარმოედგინოს. ეს რევანშში შეიძლება სისხლიანი რევანში იყოს, იმიტომ, რომ ჩვენ სააკაშვილის სახით საქმე გვაქვს ფსიქიკურად გაუწონასწორებელ, ძალაუფლებაზე ჩაბღაუჭებულ ადამიანთან, რომელიც ყველაფერს გააკეთებს, სამშობლოს და ოჯახის წევრებსაც კი გაწირავს იმისათვის, რომ ხელისუფლებაში დარჩეს ან დაიბრუნოს ხელისუფლება. ამიტომ ეს საკმაოდ გასაფრთხილებელი ფაქტორია, თორემ ასეთი მოვლენები რომ მოხდეს, ბევრი ის ადამიანი, რომელიც დღეს თანამდებობაზეა, ვირთხასავით პირველი გაიქცევა გემიდან და ისევ და ისევ ჩვენ მოგვიწევს დაცვა იმ მონაპოვრისა, რომელი მონაპოვარიც არის პირველი ოქტომბრის მონაპოვარი.

– დღეს ბევრი საუბრობს იმის თაობაზე, რომ ბიძინა ივანიშვილს გარემოცვაში ჰყავს მტრები და მიზანმიმართულად შეჰყავთ შეცდომაში, რათა მისი რეიტინგი დაეცესო...

– მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილმა კარგად უნდა იცოდეს თუ ვინ არის მის გუნდში, მისი მოყვარე და ვინ მტერი. ვინ უშვებს შეცდომებს და ვინ არის ბრიყვი და ვინ ჭკვიანი. მე ვფიქრობ, რომ ეს მან იცის, ეს რომ არ იცოდეს, მაშინ ბევრად უფრო ცუდად იქნება საქმე, ვიდრე დღეს არის. სიტუაცია რომ მარტივი არ არის, ეს დავითაშვილის წასვლამაც დაადასტურა. ახლა მე მინდა ერთი რამ ვთქვა, ჩემი მეგობარია დათო საგანელიძე და საკმაოდ დიდი ხანია ვმეგობროთ, მაგრამ როდესაც შენ ხარ უმრავლესობის ლიდერი და მთელი რაიონული ორგანიზაციები გირეკავენ და ტელეფონს არ იღებ და არავის არ პასუხობ, რა თქმა უნდა, იმ ადამიანების გაღიზიანებას იწვევ. როდესაც შენს ფიტულს წვავენ, ჯერ ერთი, არ უნდა მიიყვანო საქმე იქამდე, რომ შენი ფიტული დაწვან და როდესაც დაწვავენ, შემდგომში ირონიული განცხადებები არ უნდა აკეთო. ასევე არ უნდა დანიშნო მხედრიონელები და ყოფილი ნაციონალებით არ უნდა გაავსო „ქართული ოცნების“ რიგები. მე შემიძლია პირდაპირ განვაცხადო, რომ თუნდაც თბილისის საკრებულოში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სიტუაცია ძალიან მძიმე და ცუდია. როდესაც საკრებულოში გყავს ისეთი ადამიანი, როგორიც არის ქალბატონი ნათელა მაჭავარიანი, რომელიც სალომე ზურაბიშვილის პარტიის წევრია, რომელიც მუდმივად ხმალამოღებული იბრძოდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, როდესაც გყავს იქ კახა კუკავა, რომელიც ასევე გახლდათ ხმალამოღებული მებრძოლი სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ასევე გყავს მრეწველების წარმომადგენლის – ზურაბ ტყემალაძის ვაჟი, რომელიც საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდაა და მთელი ეს პერიოდი ოპოზიციაში იყო, როდესაც გყავს ასეთი კადრები და შენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ ირჩევ გია უდესიანის მარჯვენა ხელს, ზონდერების ერთ-ერთ ხელმძღვანელს – შიხიაშვილს და „ქართული ოცნების“ ფრაქციაში იღებ და შემდეგ ერთ-ერთ ლიდერად აქცევ ადამიანების დამრბევ ნიკო ხაჩრიშვილს და შენ სახეზე გექნება მოსახლეობის გულისწყრომა, ეს არ უნდა გაგიკვირდეს. როდესაც ასეთი ტიპის ადამიანს ირჩევ „ქართული ოცნების“ სახელით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ, ელემენტარულად უნდა დაფიქრდე, თუ რას აკეთებ.

ბათუმში „ლიბერთი ბანკის“ ახალი სერვისცენტრი გაიხსნა

„ლიბერთი ბანკი“ ფილიალებისა და სერვის ცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს.

გუშინ, ბანკის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ხოროშვილმა ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. 23-ში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისცენტრი გახსნა, რომელიც როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს. სერვისცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა და კომუნალური გადასახადების დაფარვა.

2012-2013 წლებში „ლიბერთი ბანკმა“ მთელი საქართველოს მასშტაბით 30-ზე მეტი ახალი ფილიალისა და სერვისცენტრის გახსნა და მოდერნიზება მოახდინა. „ლიბერთი ბანკი“ საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელით არის წარმოდგენილი, რომლის მეშვეობითაც ის, 1.4 მლნ ფიზიკურ და 60 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

„ლიბერთი ბანკის“ საბაზრო წილი 2013 წლის ივლისის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით 7.7%-ს შეადგენს.

ნიუსპრესი

შიზოფრენიით დაავადებულთა რიცხვმა 12 ათასს გადააჭარბა

მერი ნამორაძე

გუშინ ადამიანის უფლებათა ცენტრმა მედიის წარმომადგენლებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებული კვლევის ანგარიში წარუდგინა. კვლევის პერიოდში ჯგუფის მკვლევართა წევრები სარგებლობდნენ დახურულ დაწესებულებებში ომბუდსმენის სპეციალური რწმუნებულებით, რითაც შესაძლებელი გახდა მოულოდნელი ვიზიტების განხორციელება და უფრო ობიექტური ანალიზის გაკეთება. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის მკვლევარებს აინტერესებდათ, შეიცვალა თუ არა ვითარება მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის აპარატმა 2012 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში მოამზადა სპეციალური ანგარიში საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა, ალეკო ცქიტიშვილმა აღნიშნა, კვლევის ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა ორი იურისტი, პათოფსიქოლოგი, უფლებადამცველი და ჟურნალისტი ოპერატორთან ერთად. დაფიქსირდა პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში უცვლელია, ასევე პრობლემები, რომლებიც უკეთესობისკენ იცვლება.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 2011 წელს სულ 67 736 ფსიქიკური ან ქცევითი აშლილობის მქონე ადამიანი დარეგისტრირდა. რეალურად ეს რიცხვი გაცილებით დიდია. შიზოფრენიის დიაგნოზით საქართველოში 12 083 რეგისტრირებულია, მაშინ, როცა მსოფლიოს მოსახლეობაში შიზოფრენიის სიხშირიდან გამომდინარე, საქართველოში ამ სენით დაავადებულთა რაოდენობა ოფიციალურ მონაცემს ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს.

ფსიქიკური პრობლემების მქონე მოქალაქეთა არაზუსტი სტატისტიკის ერთ-ერთი მიზეზი სოციალური სტიგმაა. ხშირია შემთხვევები, როცა ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტებს „გიჟებად“ მოიხსენიებენ, რაც მათ სტიგმატიზაციას იწვევს. ამიტომ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები და მათი ახლობლები დაწესებულებაში მოხვედრას გაურბიან და ოჯახურ გარემოში არჩევენ მკურნალობას, რაც დამატებით პრობლემას უქმნის პატრონს და ვერც სრულფასოვანი მკურნალობა ხერხდება. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ კარის მეზობლებმაც კი არიციან დაავადებული ბავშვის არსებობა, რადგან მშობლებს უცხო თვალისგან მორიდების მიზნით, წლების განმავლობაში გარეთაც კი არ გამოჰყავთ ამა თუ იმ ფსიქიკური სახის პრობლემების მქონე შვილი.

დღემდე არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები სამკურნალოდ ან უცხოეთში მიდიან, ან დაწესებულებებს საერთოდ არ მიმართავენ და სახლის პირობებში მკურნალობენ, რაც ჰოსპიტალური მკურნალობის ალტერნატივად მიიჩნევა და თემაზე დაფუძნებული სერვისების საჭიროებას უფრო მეტად წარმოაჩენს. მსგავს პრობლემასთან შეხება კვლევის ჯგუფსაც მოუხდა, როცა რუსთავის საავადმყოფოში რემისიულ მდგომარეობაში მყოფმა ერთმა დევნილმა ქალბატონმა განაცხადა, რომ ბინის არქონის გამო, იძულებულია მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იცხოვროს.

დღეისათვის სახელმწიფო ფსიქიატრიული დახმარების პროგრამას ექვს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ახორციელებს, სადაც ათას საწოლზე ცოტა მეტია. როგორც გუშინ აღინიშნა, საწოლები ხშირად არამიზნობრივად გამოიყენება ისეთი მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სჭირდებათ არა საავადმყოფოში მკურნალობა, არამედ თავშესაფრები და ამ თემზე დაფუძნებული სერვისებით უზრუნველყოფა.

ანგარიშის ერთ-ერთმა ავტორმა, ოლგა კალინამ აღნიშნა, რომ საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს კვლევის პროცესში წარმოადგენდა პაციენტების მიმართ მოპყრობის შეფასება. აღმოჩნდა, რომ ბოლო პერიოდში ამ კუთხით მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები მოხდა. თუკი წლების წინ პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა მყარად იყო დამკვიდრებული, დღეს ეს პრობლემა მნიშვნელოვნად აღმოფხვრილია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. იმ საავადმყოფოებში, სადაც მომსახურე პერსონალს გავლილი არ აქვს შესაბამისი ტრენინგები, პაციენტები მაინც მიუთითებდნენ სანიტრების მხრიდან უხეშ მოპყრობაზე. თუმცა, არც ერთ მათგანს ზემდგომი პირისთვის ამის შესახებ არ მიუმართავს, რაც შეიძლება შემდგომი შურისძიების შიშითაც იყოს განპირობებული. ცალკეული ფაქტები დაფიქსირდა ქუტირის ქალთა და მამაკაცთა განყოფილებებში, სადაც პაციენტთა თქმით, არის შემთხვევები, როცა თანამშრომლები უყვირიან და უხეშად მიმართავენ. რამდენიმე პაციენტმა აღნიშნა, რომ იძულების ძალით უკეთებენ კუნთში ინექციებს. თუმცა, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე არ მიუთითებიათ. პაციენტთა გარკვეულმა ნაწილმა განაცხადა, რომ დარეკვის საშუალება არ აქვთ ოჯახის წევრებთან დასაკავშირებლად. საავადმყოფოთა ნაწილში, განსაკუთრებით რეგიონებში, გამოვლინდა პაციენტთა შრომის გამოყენების ფაქტები, როცა ისინი პერსონალის მოვალეობაში შემავალ საქმეს ასრულებდნენ. მაგალითად, სურამში ურიკით ნაგავი გაჰქონდა ერთ-ერთ პაციენტს. მედპერსონალმა ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ ეს საქმე პაციენტს სიამოვნებას ანიჭებდა. ქუტირის საავადმყოფოს ქრონიკული ავადმყოფების ქალთა განყოფილების ერთერთმა ბინადარმა აღნიშნა, რომ თუკი ღამის საათებში რომელიმე შეურაცხადი პაციენტი იატაკზე მოისაქმებდა, მას აიძულებდნენ მოეწმინდა.

რაც შეეხება ფიზიკური შეზღუდვის პროცედურებს, საქართველოს ფსიქიატრიული პროფილის დაწესებულებებში ეს მეთოდი საკმაოდ გავრცელებული სამედიცინო მანიპულაციაა. კვლევის ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ამ პროცედურის კანონთან შესაბამისობაში გამოყენების შემოწმება. პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა – იზოლირება ან დაფიქსირება, რეგულირდება საქართველოს თუ საერთაშორისო და ევროპული კანონმდებლობით. ამ პროცედურის ხასიათიდან გამომდინარე, მისი გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული დეტალური პროცედურის ზედმიწევნითი დაცვით სპეცადგილას, სპეცაღჭურვილობის გამოყენებით.

როგორც ცნობილია, ფიზიკური შეზღუდვა უნდა ხდებოდეს გამონაკლის შემთხვევებში, როცა სხვა ნაკლებშემზღუდავი საშუალებით ვერ მოხერხდა პაციენტის მართვა. ფიქსირებული პაციენტი გამუდმებული სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. პაციენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს ექიმის გადაწყვეტილება ფიზიკური შეზღუდვის თაობაზე. ეს მეთოდი არ უნდა გამოიყენებოდეს დასჯის მიზნით. ამასთან, ექიმების თუ ქვედა დონის პერსონალის სათანადო მომზადება აუცილებელია რთული სიტუაციების იმგვარად მართვისათვის, რომ ზიანი არ მიადგეს არც პაციენტს და არც თანამშრომელს. კადრების მომზადებისა და შერჩევის კუთხით ამ მხრივ, რეგიონებში ბევრად მძიმე სიტუაციაა, რადგან მწირი ანაზღაურების გამო ვერ ხერხდება შესაბამისი ფიზიკური მონაცემების მქონე ადამიანების მოძიება. მაგალითად, ექთნის თანაშემწის ადგილზე. ამიტომ პერსონალი ფიქსაციის პროცესში ზოგჯერ სხვა პაციენტებს დაიხმარენ ხოლმე.

როგორც გუშინ აღინიშნა, ერთეულ შემთხვევებში, სავარაუდოა, რომ შეზღუდვა გამოიყენება პაციენტის დასასჯელად. დაწესებულებებში, უმეტეს შემთხვევაში, პაციენტის ძლიერი აღგზნების მართვისთვის გამოიყენება ფიზიკური შეზღუდვა და ფარმაკოლოგიური ჩარევა. იმ პაციენტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რომელთა მიმართ ფიზიკური შეზღუდვა ან ფარმაკოლოგიური ინექციები გამოიყენეს, ცხადია, რომ ისინი ხშირად აღნიშნულ ღონისძიებებს აღიქვამენ, როგორც სასჯელს. ანგარიშის ავტორები მიიჩნევენ, რომ უნდა დაინერგოს პაციენტთა კრიზისის შემდგომი შეხვედრების და განმარტებების, ინფორმირების პრაქტიკა, რაც დაწესებულებებში ამ ეტაპზე დანერგილი არ არის.

ნატახტარი მუდამ მომხმარებელზე ფიქრობს

თორნიკე ნიკოლაიშვილი

ზაფხულია, ცხელა, ცხელა და აბა, ნატახტარის სიახლის გარეშე, ეს ზაფხული ისე როგორ ჩაივლიდა?!

ახალი რა არის? ახალი და მთავარია, რომ ამიერიდან „ნატახტარის“ ლუდი და ლიმონათი ბაზარზე 0.33 ლიტრიანი თუნუქის შეფუთვითაც გამოვა. სიახლე მომხმარებლის გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა, რადგან მათთვის აღნიშნული შეფუთვა უფრო მოსახერხებელი და, რაც მთავარია, ფასითაც მიმზიდველი იქნება.

ამის შესახებ, საზოგადოებას ჟურნალისტების საშუალებით, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა, თორნიკე ნიკოლაიშვილმა ამცნო.

თორნიკე ნიკოლაიშვილი:

– ჩვენი კომპანია ყოველწლიურად ფიქრობს ახალი, და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი პროდუქციის გამოშვებას. პირველად საქართველოში კომპანია „ნატახტარი“ გამოუშვებს ლუდს, რომელიც თუნუქის 0,33 ლიტრიან ქილებში იქნება შეფუთული. ლუდის ფასი 1 ლარი, ხოლო ლიმონათის – 0,50 ლარი იქნება. ჩვენ ყოველნაირად ვფიქრობთ ჩვენს მომხმარებელზე და ვცდილობთ მათთვის მიმზიდველი პროდუქციის გამოშვებას. ვფიქრობთ, ეს ზაფხული ახალ ინოვაციასთან ერთად, ჩვენი მომხმარებლისთვის სასიამოვნო იქნება.

შეხსენება არ ჭირდება, რომ კომპანია „ნატახტარი“ ქართული ლუდის ბაზრის ლიდერია. ამაზე მეტყველებს მისი აქტიურობა, ინოვატორობა, პროდუქციის ხარსხი, მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა.

„ნატახტარის ლიმონათი“ კი, საქართველოს ბაზარზე 2005 წლიდან გამოჩნდა და , რაც მთავარია, დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა. სადღეისოდ, „ნატახტარის ლიმონათი“ ყველაზე პოპულარულია საქართველოში. თუმცა, რატომ მარტო ჩვენს ქვეყანაში? მისი პროდუქცია სხვადასხვა ქვეყნებში ექსპორტირდება და მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება. სადღეისოდ, კომპანია „ნატახტარის“ პროდუქცია 20 ქვეყანაში ხორციელდება.

მეტეხის ტაძრის გადახურვა სრულად განახლდება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, თბილისის მეტეხის ტაძარზე უკვე რამდენიმე წელია, სამშენებლო ხარაჩოა აღმართული. ქვეყნის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლზე სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოები 2008 წლიდან ხორციელდება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, ძეგლზე გადაუდებელი ფიზიკური სამუშაოების წარმოება წელს პირველად დაიწყება და პროექტის საწყის ეტაპზე მეტეხის ტაძრის გადახურვა წლის ბოლომდე მთლიანად განახლდება.

ძეგლზე ფიზიკური სამუშაოების დაწყებას საფუძვლად უდევს სრულყოფილი არქიტექტურულ-კონსტრუქციული გამაგრების 2008 წელს მომზადებული საპროექტო დოკუმენტაცია, რომლის მომზადებაზე არქიტექტორ-რესტავრატორმა ნოდარ მინდორაშვილმა საექსპედიციო ჯგუფთან ერთად 2008 წელს იმუშავა.

გასულ წელს მეტეხის გადარჩენის პროექტში ტაძრის ქვის ურთულესი მდგომარეობის გამო, იკრომის სპეციალისტი ქვის კონსერვაციის ერთ-ერთი ცნობილი ოსტატი სტეფანო ვოლტა ჩაერთო და სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტთან ერთად ტაძრის აღმოსავლეთ ფასადისა და კარიბჭის სტრუქტურული და სამშენებლო მასალის კვლევები განახორციელა.

დიაგნოსტიკური დოკუმენტების საფუძველზე წელს გამოცხადდა კონკურსი მეტეხის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადისა და კარიბჭის სტრუქტურული გამაგრების პროექტის მომზადებაზე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მთავარი მიზანია, სრულად გადარჩეს, გამაგრდეს და შენარჩუნდეს ტაძრის მე-13 საუკუნის ფენის ქვათლილები და ქვაზე ნაკვეთი ორნამენტები.

– მეტეხი ისტორიული უბანია მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე კლდოვან შემაღლებაზე ავლაბარში, თბილისი. ეს ყველაზე ადრეული დასახლება იყო ქალაქის ტერიტორიაზე. ტრადიციული რწმენით, მეფე ვახტანგ გორგასალმა აქ ეკლესია და ციხესიმაგრე აღმართა, რომელიც ასევე მეფის რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. აქედან მომდინარეობს სახელი მეტეხი, რომელიც ძველქართულად „არემარეს სასახლის ირგვლივ“ ნიშნავს. ამ ადგილზე V საუკუნეში წმიდა შუშანიკ წამებული დაკრძალეს. ეკლესია იხსენიება თამარ მეფის დროს. მონღოლების შემოსევას ვერც ერთი ადრინდელი ნაგებობა ვერ გადაურჩა. მეტეხის მაცხოვრის ეკლესია, აღმართული კლდის თავზე, მეფე დემეტრე II-ს აღუდგენია. ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლის გეგმა იმ დროისათვის უჩვეულოა – 4 თავისუფლად მდგომი ბოძი, 3 შვერილი აფსიდი, როგორც ჩანს, ამ ადგილზე მანამდე მდგარი ეკლესიის გეგმას იმეორებს. ფასადები ახლებური დეკორატიული სისტემით არის დამუშავებული: კედლები დანაწევრებულია ჰორიზონტული სარტყლებით, ეს სისტემა ვერ გავრცელდა, მაგრამ იმავე დროს საკურთხევლის შვერილ აფსიდზე გამეორებულია ძველი, სამთავისის დროიდან ცნობილი, სისტემა – დიდი ჯვარი და 2 მოჩუქურთმებული კვადრატი სარკმლის ქვემოთ, საუკუნეთა განმავლობაში შენობამ ბევრი ცვლილება განიცადა. XIII საუკუნის ნაგებობისაგან შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები კამარების დონემდე, დასავლეთი კედლის ქვემო ნაწილი, სამხრეთ კედლის აღმოსავლეთი ნაწილი. ეკლესია მოგვიანებით დაზიანდა და რამდენჯერმე აღდგენილ იქნა. მეფე როსტომმა გაამაგრა არემარე ეკლესიის ირგვლივ ძლიერი ციტადელით, რომელსაც 3000 ჯარისკაცი იცავდა. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ქართლის ტახტზე მაჰმადიანი მეფეები ისხდნენ, მეტეხის ტაძარი უკვე მიტოვებული იყო. მოგზაურ ჟან შარდენის თქმით, მისი მიტოვების უშუალო მიზეზი მეხის დაცემა ყოფილა, ვახტანგ V-მ შენობა ეკლესიად კი არ აღადგინა, არამედ თოფის წამლის საწყობი მოაწყო. მეტეხის ციხიდან სპარსელთა განდევნის შემდეგ შეკეთდა და ამოქმედდა დიდი ხნის წინათ მიტოვებული მეტეხის ეკლესიაც. რუსეთის მმართველობის პერიოდში ეკლესიამ დაკარგა მისი რელიგიური ფუნქცია და სამხედრო ბარაკად გადაკეთდა. მოგვიანებით ციტადელი დაშლილ იქნა და ახალი ნაგებობით შეიცვალა, რომელიც სატუსაღოს ფუნქციას ასრულებდა. დიდი წმენდის პერიოდში ლავრენტი ბერიას გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ეკლესიის დანგრევაც, თუმცა ძლიერ წინააღმდეგობა შეხვდა ქართველ ინტელექტუალთა მხრიდან, მხატვარი და კოლექციონერი დიმიტრი შევარდნაძის მეთაურობით. ბერიამ შესთავაზა ეკლესიის რეპლიკის (ასლის) შემცირებული ზომით შექმნა მუზეუმისთვის, რომელსაც მისი წინადადებით თავად დიმიტრი შევარდნაძე უხელმძღვანელებდა, რაზედაც ამ უკანასკნელის მტკიცე უარი მიიღო. დიმიტრი შევარდნაძე წინააღმდეგობის გაწევისთვის დააპატიმრეს და მოგვიანებით სიკვდილით დასაჯეს. მიუხედავად ამისა, ნაგებობის გადარჩენა მაინც მოხერხდა. უფრო გვიანდელ საბჭოთა პერიოდში ეკლესია თეატრის ფუნქციას ასრულებდა. მეფე ვახტანგ გორგასლის ცხენოსანი ფიგურა სკულპტორი ელგუჯა ამაშუკელის მიერ ეკლესიის წინ აღიმართა. გასული საუკუნის 80-იან წლებში კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივითა და პოპულარული მხარდაჭერით დაიწყო ეკლესიის საქართველოს საპატრიარქოსთვის დაბრუნების კამპანია. ამ მოთხოვნით ცნობილმა ქართველმა დისიდენტმა და მომავალმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ შიმშილობაც დაიწყო. კომუნისტური მმართველობის თავდაპირველი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1988 წლიდან ეკლესიამ ფუნქციონირება დაიწყო, – ამბობენ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოში.

ლეგენდის თანახმად, მეტეხის კლდე აბოს წამების ადგილი უნდა ყოფილიყო, რომელიც თბილისის მფარველი წმინდანია. მცირე ეკლესია მის სახელზე ამჟამად მშენებლობის პროცესშია კლდის ძირთან.

– მეტეხის მიდამო მტკვრის საპირისპირო სანაპიროსთან რკინაბეტონის ხიდითაა დაკავშირებული, რომელიც აიგო ორი ძველი ხიდის ადგილას. სამწუხაროდ, ახალი ხიდის მშენებლობის პროცესში სრულიად დაინგრა სხვადასხვა ნაგებობათა და შენობათა უნიკალური კომპლექსი, რომელიც XVII-XIX საუკუნეებით თარიღდებოდა. ბოლო დროს ქალაქის მთავრობამ წამოიწყო ძველი თბილისის ამ ისტორიული ნაწილის XX საუკუნის დასაწყისის დროინდელ იერზე რესტავრაციის კამპანია, – განმარტეს სააგენტოში.

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარზე მიმდინარე სამუშაოები გასულ თვეში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ პირველ მოადგილე მარინე მიზანდართან ერთად მოინახულა. მათ ტაძრის წინამძღვარ მამა აკაკისთან, მრევლ კობა ხარბედიასთან და არქიტექტორ ნოდარ მინდორაშვილთან ერთად დაათვალიერეს ტაძარი, რომელიც დაუყოვნებლივ სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებს.

– აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გეგმავს ტაძრის კვლევითი და გადახურვითი სამუშაოების დასრულებასა და ტაძრის პირვანდელი სახით აღდგენას. ასეთი მასშტაბური სამუშაოები მეტეხის ტაძარს პირველად ჩაუტარდება. აღდგენილი იქნება გუმბათი, კარიბჭე და XIII საუკუნის დროინდელი ქვის წყობა. თბილისის ისტორიის განუყოფელი ნაწილის – მეტეხის ტაძრის გადახურვის სამუშაოები წლის ბოლოს უნდა დასრულდეს, მთლიანად პროექტის განხორციელება კი რამდენიმე წელს გაგრძელდება, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

რას ითხოვს საქართველოს სომეხთა სათვისტომო?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„გთხოვთ, დააკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნა – შეისწავლოთ ჩვენი სამსახურიდან დათხოვნის საქმე. გააუქმოთ ჩვენი დათხოვნის არაკანონიერი ბრძანებები და სამსახურში აღგვადგინოთ. ვიმედოვნებთ, რომ ახალი ხელისუფლება არ დარჩება გულგრილი წინა ხელისუფლების მიერ დისკრიმინირებული და დაჩაგრული მოქალაქეების მიმართ და აღადგენს კანონიერებასა და სამართლიანობას“, – მიმართავს სომხურენოვანი სკოლის 5 დათხოვნილი მასწავლებელი აწერს ხელს.

აღნიშნული მიმართვების შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სომეხთა სათვისტომოს წარმომადგენლებს შორის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. თითოეულ ამ შეხვედრაზე სათვისტომოს წარმომადგენლები სამინისტროს „არწმუნებდნენ“ მეტრომშენის დასახლებაში სომხურენოვანი სკოლის აღდგენის, დეოპტიმიზაციის აუცილებლობაში. ძალისხმევამ თითქოს შედეგი გამოიღო. სამინისტრო სათვისტომოს შეჰპირდა მეტრომშენის სომხურენოვანი სკოლის აღდგენასა და დეოპტიმიზაციას, აგრეთვე ამ საკითხის შესაბამის კომისიაში განხილვას.

ამ დაპირების გაცემის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა, თუმცა სკოლა ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. მეტიც, შენობა, რომელშიც ადრე ფუნქციონირებდა №110 საჯარო სკოლა, გადაცემულია ლტოლვილთა და განსახლების საკითხების სამინისტროს ბალანსზე. ივლისში სკოლის შენობაში სარემონტო სამუშაოები დაიწყო, რომელიც, სავარაუდოდ, სექტემბრის მიწურულს დასრულდება. ყოფილი სომხურენოვანი სკოლის შენობაში ლტოლვილთა 60 ოჯახის შესახლება იგეგმება.

„სამინისტროში შეიქმნა დეოპტიმიზაციის კომისია, რომელიც სწავლობს ოპტიმიზირებული სკოლების დეოპტიმიზაციის მიზანშეწონილობას. ამ კომისიაში განცხადებები არის დაახლოებით 200-ზე მეტი. სამინისტრო თითოეულ ასეთ განცხადებას ძალიან სკრუპულოზურად სწავლობს, რაც თავისთავად დროს მოითხოვს. მე როგორც ვიცი, ამ სკოლასთან დაკავშირებით წინსვლა არის. მოკვლეულია მთელი რიგი საკითხები, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება არ არსებობს, ვინაიდან დასაზუსტებელია ჯერ კიდევ რაღაც ნიუანსები, რის საფუძველზეც შემდგომში მოხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება – აღდგება თუ არა სკოლა. ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში სამინისტრო, არგუმენტირებულად დაასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას“, – განაცხადა „მიუთიუნთან“ საუბარში განათლების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ქებურიამ.

„შემდეგ კვირას დანიშნულია კომისიის სხდომა, რომელზეც სამინისტრო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს აღნიშნული საკითხის შესახებ“, – განმარტა მინისტრის ახლად დანიშნული მოადგილის ლია გიგაურის თანაშემწემ.

მორიგი „შემდეგი კვირა“ 5-11 აგვისტოს პერიოდს ემთხვევა და უკვე დაწყებულია. ეღირსებიან თუ არა მეტრომშენის დასახლებაში მცხოვრები სომხები სკოლის აღდგენას? – კითხულობენ საქართველოს სომეხთა სათვისტომოს წევრები.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი დაპარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით კურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. კურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგენმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნია შვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ხელმძღვანელობამ სფფ-ში წერილი შეიტანა

თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ხელმძღვანელობამ სფფ-ში წერილი შეიტანა. ისინი 2000-01 წლებში გუნდის მიმართ გამოვლენილი დარღვევების გამოსწორებას მოითხოვენ.

ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოსა“ და მერაბ რატიანის ადვოკატმა მერაბ მიგრიაულმა განაცხადა, ეს შეცდომა 2000-01 წლებში იქნა დაშვებული. მათი განცხადებით, 2001 წელს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დაარეგისტრირა სრულიად ახალი კლუბი, სახელწოდებით „დინამო თბილისი“.

მერაბ მიგრიაული:

– ნამდვილ საფეხბურთო კლუბს ერქვა თბილისის „დინამო“. ამ მანიპულაციით სურდათ, საზოგადოება შეცდომაში შეეყვანათ. მოგეხსენებათ, კლუბის ტრადიცია და მემკვიდრეობა არ ინყება 2001 წლიდან. შეგვაქვს თხოვნა, რომ თბილისის „დინამოს“ აღუდგეს ხმის უფლება სფფ-ში და ადგილი ეროვნულ ჩემპიონატში. მივმართავთ სფფ-ს, რომ აღადგინოს სამართლიანობა და თუ საჭიროა საქმის კურსში ჩააყენოს ფიფა და უეფა.

თბილისის „დინამოს“ ყოფილი დირექტორატის წევრები აცხადებენ, რომ მათ ჰქონდათ არაერთი მცდელობა „დინამო თბილისის“ ახალ ხელმძღვანელობასთან შეხვედრისა, თუმცა ყველა წარუმატებლად დასრულდა. პირველი ინსტანცია, სადაც თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ხელმძღვანელებმა წერილი შეიტანეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა. ისინი არ გამორიცხავენ, რომ დავამ შესაძლოა სასამართლოში გადაინაცვლოს.

თბილისის „დინამოს“ ძველ შემადგენლობას კლუბი 2001 წელს ჩამოერთვა. მაშინდელი გადაწყვეტილება კი შსს-ს მაშინდელმა მინისტრმა კახა თარგამაძემ მიიღო და საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ გადაეცა ბადრი პატარკაცი შვილს.

თბილისის „დინამოს“ ყოფილის ხელმძღვანელობის წერილი უკვე ჩაიბარა სფფ-ს გენერალურმა სამდივნომ. აღნიშნული წერილი უნდა განიხილოს სფფ-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც ამ წერილის შინაარსის განხილვას ფედერაციის იურიდიულ სამსახურს დააკისრებს.

გვარდიოლას აკრიტიკებენ, ის არ დარდობს

მიუნხენის „ბაიერნის“ ახალი მთავარი მწვრთნელი პეპ გვარდიოლა ჯერ არ მისულა და უკვე პრობლემები აქვს.

ქვეყნის სუპერთასზე „დორტმუნდთან“ წაგების შემდეგ გერმანული პრესა ღიად, ხოლო „ბაიერნის“ ფეხბურთელები ირიბად აკრიტიკებენ. პრესაში გვარდიოლას, გარდა ტაქტიკისა, გუნდის დაკომპლექტებასაც უწუნებენ. კონკრეტულად, გერმანელი ჟურნალისტები უკმაყოფილონი არიან „ბაიერნის“ ზედმეტად შემტევი ტაქტიკითა და ტიაგო ალკანტარას შეძენით. არადა, ალკანტარას აგენტი პეპ გვარდიოლას ძმა პერე გვარდიოლაა. გერმანული პრესის აზრით, თავისი ძმის დახმარებით, გვარდიოლამ გუნდისთვის ნაკლებად საჭირო ტრანსფერი განახორციელა. საინტერესო ისაა, რომ გვარდიოლასგან მსგავსი ქმედება ნამდვილად გასაკვირია. ჯერ კიდევ „ბარსელონაში“ მუშაობის დროს, მან ლუის სუარესის შეძენაზე უარი სწორედ იმ მიზეზით განაცხადა, რომ ურუგვაელის აგენტი მისი ძმა იყო, რაც ტრანსფერის განხორციელებას აიოლებდა და „ბარსელონას“, კონკურენტებთან შედარებით, უსამართლოდ მომგებიან სიტუაციაში აყენებდა.

გვარდიოლას მუშაობის მეთოდებით კმაყოფილნი არც „ბაიერნის“ ფეხბურთელები არიან. „დორტმუნდთან“ წაგების შემდეგ, მიუნხენელები შემდეგ განცხადებებს აკეთებენ:

ბასტიან შვაინშტაიგერი:

– არ ვარ დარწმუნებული, რომ რასაც მწვრთნელი მთავაზობს, სასიკეთოდ წამადგება.

კლაუდიო პისარო:

– სეზონის სტარტზე, საკუთარ თამაშში, არასდროს იმდენი რამ არ შეიცვლია, რამდენიც ახლა. არც ერთ მწვრთნელს შენთვის ამდენი ცვლილება არ მოუთხოვია. არადა, ფეხბურთს დიდი ხანია ვთამაშობ.

ტომას მიულერი:

– ვფიქრობდი, რომ მოედანზე ჩემი როლის შესახებ ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა.

არიენ როგენი:

– არ მესმის, რატომ უნდა შეცვალო ის, რაც კარგად მუშაობს.

თავად გვარდიოლას ეს არ ადარდებს და გუნდის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. კატალონიელი „რეკორდმაისტერის“ ქომაგებს აფრთხილებს, რომ ყოველ მატჩში დიდი ანგარიშით მოგებას არ უნდა ელოდონ.

პეპ გვარდიოლა:

– სუპერმწვრთნელი არ ვარ, ჩვეულებრივი სპეციალისტი გახლავარ. 42 წლის ვარ და მხოლოდ 5-წლიანი გამოცდილება გამაჩნია. შესაბამისად, სასწავლიც ბევრი მაქვს. მესმის, რომ გასული სეზონის შემდეგ, „ბაიერნს“ ყველაფრის მოგება მართებს. მგონი, ხალხი ფიქრობს, რომ თითოეული მატჩი 7:0 უნდა მოვიგოთ. დამეთანხმებით, ეს შეუძლებელია.

ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების წინ 16-წლამდელებმა ღია ვარჯიში გამართეს

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ხვალ, გამთენიისას, ბოსნიაში მიემგზავრება, სადაც 8-18 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მატჩები გაიმართება. სარაევოში შეკრებილი 22 ნაკრები იმ 3 საგზურისთვის იბრძოლებს, რომელიც მათ მომავალ წელს ელიტურ, ა დივიზიონში თამაშის უფლებას მისცემს.

ევროპის ჩემპიონატისთვის საქართველოს ნაკრები ნაყოფიერად მოემზადა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა 16-წლამდელებმა 9 საკონტროლო მატჩი გამართეს, საიდანაც 6 მოიგეს. ქართველები ესტონეთს (56:76, 61:43), ბულგარეთსა (63:62, 69:67) და ჰოლანდიას (68:65, 51:85) ორ-ორჯერ შეხვდნენ, ხოლო ლიეჟის საერთაშორისო ტურნირზე ბელგიას (61:67), პორტუგალიასა (78:75) და შვეიცარიას (91:62) დაუპირისპირდნენ.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველო D ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენი მეტოქეები ბელარუსი, უნგრეთი, ჩეხეთი, ლუქსემბურგი და ავსტრია იქნებიან. გათამაშების სისტემა ასეთია: თითოეული ჯგუფის 2 საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გავა და 1-8 ადგილებისთვის იბრძოლებს, ჯგუფში 2-3 ადგილზე გასულები კი 9-16 ადგილებისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

საკალათბურთო აკადემიის დარბაზში საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა, რომელსაც პრესისა და ტელევიზიების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საქართველოს ნაკრების კალენდარი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე:

8 აგვისტო: საქართველო-ჩეხეთი
9 აგვისტო: უნგრეთი-საქართველო
10 აგვისტო: საქართველო-ლუქსემბურგი
11 აგვისტო: ბელარუსი-საქართველო
12 აგვისტო: ავსტრია-საქართველო

მოამზადა მისეიელ ჟორჟოლიანმა

ტრენტოს საერთაშორისო ტურნირზე ეროვნული ნაკრები 15 კალათბურთელით ჩავა

სლოვენიური შეკრების პირველი ეტაპი დასრულებულია – საქართველოს ეროვნული ნაკრები დღეს იტალიისკენ აიღებს გეზს, სადაც 7-9 აგვისტოს საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და 3 საკონტროლო მატჩს გამართავს პოლონეთთან, ისრაელთან და მასპინძელ იტალიასთან. ტურნირის დასრულების შემდეგ ქართველები სლოვენიაში დაბრუნდებიან და შეკრებას პოდჩეტრტეკის სპორტკომპლექს „ტერმე ოლიმპიაში“ 13 აგვისტომდე გააგრძელებენ. ნაკრები იტალიაში 15 კალათბურთელით ჩავა, ხოლო 4 კანდიდატი, რომლებმაც სლოვენიის დაბა პოდჩეტრტეკში შეკრება გაიარა, თბილისში დაბრუნდება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის გადაწყვეტილებით ნაკრებს შემდეგი კალათბურთელები გამოაკლდებიან: რევაზ როგავა, მერაბ ბოქოლიშვილი, რიჩარდ მათიაშვილი და ბექა ჩიკვილაძე.

შემადგენლობა, რომლითაც საქართველოს ნაკრები იტალიაში ჩავა:

გიორგი ცინცაძე, ოთარ ფხაკაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ბესიკ ლეჟავა, დუდა სანაძე, რიკი ჰიკმანი, ანატოლი ბოისა, ლევან ფაცაცია, ვიქტორ სანიკიძე, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ბექა ბურჯანაძე, ნიკა მეტრეველი, გიორგი შერმადინი, გიორგი შარაბიძე, ლიუკ ზელერი.

საერთაშორისო ტურნირი. ტრენტო. იტალია. 7-9 აგვისტო (მითითებულია თბილისის დრო)

7 აგვისტო: იტალია-საქართველო (22:30); 8 აგვისტო: საქართველო-პოლონეთი (20:00); 9 აგვისტო: ისრაელი-საქართველო (20:00).

იტალიაში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა კომენტარი გააკეთა:

იგორ კოკოშკოვი:

– შეკრების მეორე ეტაპი, რომელიც თბილისური ფიზმომზადების შემდეგ ნაკრებმა სლოვენიაში გამართა, ძალიან სასარგებლო იყო. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია იმ პირობების შესაქმნელად, რომელშიც ახლა ვართ და ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. კმაყოფილი ვარ ყველა იმ მოთამაშით, რომელიც შეკრებაზეა. ძალიან კარგი ახალგაზრდები გვყავს და ვწუხვარ, რომ 4 მათგანთან დამშვიდობება მოგვიწია, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლება. მადლობა მათ გაწეული სამუშაოსთვის. ზაზა ფაჩულიას და თორნიკე შენგელიას დარი მოთამაშეების არყოფნა ევროპის ნებისმიერი ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა. საქართველოსთვის კი ნბა-ს 2 მოთამაშის გამოკლება განსაკუთრებით მძიმეა. თუმცა სხვა გზა არ გვაქვთ. მე მჯერა, რომ ნაკრებში დარჩენილი მოთამაშეები თავიანთ მაქსიმუმს გაიღებენ და ეცდებიან, ეს დიდი დანაკლისი შეავსონ. ქართველები ყოველთვის გამარჯვებისთვის იბრძვიან და არც ტრენტოს საერთაშორისო ტურნირი იქნება გამონაკლისი. წინ 1 თვე გვაქვს და ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა დავხვეწოთ ჩვენი თამაში. ევრობასკეტს ფორმის პიკში უნდა შევხვდეთ.

ალექსანდრე იაშვილი: „მთელი სეზონი წინ გვაქვს“

ბაქოს „ინტერის“ ვებგვერდზე ქართველი ფეხბურთელის ალექსანდრე იაშვილის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ჩვენებურმა თავისი და მთლიანად კლუბის თამაში შეაფასა.

ეს ყველაფერი კი პირველი ტურის მატჩის შემდეგ შედგა, რომელშიც იაშვილის „ინტერი“ გელაშვილის „ყარაბახს“ შეხვდა (1;2). გემახსოვრებათ, ორივე მათგანი რამდენიმე თვის წინ გერმანული „ბოხუმის“ ღირსებას იცავდა.

– მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. „ინტერმა“ სწრაფი გოლი გაიტანა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ მოახერხა. შესვენების შემდეგ მეორე გოლიც მიიღეთ საკუთარ კარში. როგორ შეაფასებთ ახალი სეზონის პირველ შეხვედრას?

– თამაში კარგად დავიწყეთ. სწრაფი გოლის გატანა მოვახერხეთ, მაგრამ შემდეგ თამაშის სცენარი შეიცვალა. „ყარაბაღმა“ თავისი მომენტების რეალიზება მოახერხა და მატჩის მოგებაც შეძლო. ვერ ვიტყვი, რომ მოწინააღმდეგე ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდა, მათ, უბრალოდ, მოახერხეს მომენტების გამოყენება, ჩვენ – ვერა. სიმართლე გითხრათ, ჩვენ უფრო მეტ ხიფათს ვქმნიდით, მაგრამ ეს ფეხბურთია და აქ ყველაფერი ხდება.

– რას ფიქრობთ, მარცხის მიზეზი რა იყო?

– როგორც უკვე გითხარით, მატჩი ძალიან კარგად დავიწყეთ. პირველ ტაიმში თამაშს ვაკონტროლებდით. „ყარაბახმა“ ჩვენი კარის მიმართულებით მხოლოდ ერთხელ დაარტყა. რამდენიმე შეცდომა დავუშვით, რაც მეტოქემ სწორად გამოიყენა. მოწინააღმდეგე გუნდში ბევრი კარგი შემსრულებელი თამაშობს, რომელთაც მოახერხეს საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა.

– „ინტერმა“ მეორე ტაიმში ველარ შეძლო ისე ეთამაშა, როგორც ამას პირველ ტაიმში აკეთებდა. დიახ, გუნდი ბურთს მთელი თამაშის განმავლობაში აკონტროლებდა, მაგრამ ბოლო მომენტში კარგავდა მას.

– ვფიქრობ, ბოლო პასის გაკეთება გვიჭირდა. ასევე შეხვედრისას ჩვენ სასარგებლოდ ბევრი სტანდარტულიც ინიშნებოდა, რაც აუცილებლად უნდა გამოგვეყენებინა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. უფრო ხშირად და ზუსტად უნდა დაგვერტყა კარისკენ. ერთი სიტყვით, ჩემპიონატი საკმაოდ ცუდად დავიწყეთ, თანაც ყველაზე ცუდი ის არის, რომ უშუალო კონკურენტთან დავთმეთ შეხვედრა. მაგრამ ჩემპიონატი ახლახან დაიწყო. ჩვენი თამაშის საჩვენებლად და მდგომარეობის გამოსასწორებლად მთელი სეზონი წინ გვაქვს.

– მოწინააღმდეგე გუნდის შემადგენლობაში თქვენი თანამემამულე ნიკოლოზ გელაშვილი თამაშობდა, ვისთან ერთადაც „ბოხუმში“ ასპარეზობდით. ესაუბრეთ მას ამ შეხვედრაზე? მიულოცეთ თუ არა ეს გამარჯვება?

– მატჩამდე ამ თემასთან დაკავშირებით არ გვისაუბრია, რადგან მატჩის წინ მხოლოდ თამაშზე ვფიქრობ და სხვაზე არაფერზე, მასზე მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ ვსაუბრობ. მატჩის შემდეგ, რა თქმა უნდა, მივულოცე ნიკოლოზს. ფეხბურთი ასეთია: ზოგი იგებს, ზოგი აგებს. აქვე დავამატებ, რომ სეზონის პირველი მატჩის მოგება გვინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ.

– სწრაფად უნდა დაივიწყოთ ახლანდელი მდგომარეობა და მომავალზე იფიქროთ.

– რა თქმა უნდა. გუნდმა სწრაფად უნდა მოახერხოს ამ დაკარგული ქულების აღმოფხვრა და მომავალი თამაშების მოგებას უნდა შეეცადოს.

– მეორე ტურში „ინტერი“ „გაბალას“ დაუპირისპირდება. რას ფიქრობთ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით? კლუბი ხომ თქვენი უშუალო კონკურენტია.

– „გაბალა“ ძლიერი კლუბია. ის ჩვენს უშუალო კონკურენტებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს. „გაბალა“, ისევე, როგორც „ყარაბახი“, ამბიციური გუნდია აზერბაიჯანულ ფეხბურთში და მათთან დაპირისპირება მარტივი არ იქნება. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენთვის მისაღები შედეგით დავასრულოთ შეხვედრა.

შედეგები

ფეხბურთი

ჩემპიონატი. ჩეხეთი

ლოკომოტივი-კრასნოდარი 3:1

საატჩინო ცხრილი:

1.სპარტაკი	4	3	1	0	10-4	10
2.როსტოვი	4	3	1	0	8-3	10
3.ცსკა	4	2	2	0	6-4	8
4.ლოკომოტივი	4	2	1	1	8-6	7
5.ზენიტი	4	2	1	1	6-5	7
6.დინამო	4	2	1	1	6-7	7
7.ყუბანი	4	1	3	0	6-5	6
8.რუბინი	4	1	3	0	3-2	6
9.ამკარი	4	1	2	1	4-3	5
10.ვოლგა	4	1	1	2	6-7	4
11.კრასნოდარი	4	1	1	2	6-8	4
12.ურალი	4	1	1	2	5-7	4
13.ანჟი	4	0	2	2	4-6	2
14.კრ.სოვეტოვი	4	0	2	2	3-5	2
15.ტერეკი	4	0	2	2	2-4	2
16.ტომი	4	0	0	4	2-9	0

ჩეხეთი. გამბჰინუსლიგა

სლავია-სიგმა 2:3

დანია. სუპერლიგა

ვესტშელანდი-ოლბორგი 2:1

შვედეთი. აისვენსკა

ნორჩიოპინგი-მიალბი 3:2
დიურგარდენი-ჰელსინბორგი 2:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ტპს-ლახტი 1:2
ჯჯკ-მიუპა 0:3

ირლანდია. თასი

დერი-დროჰედა 1:3

ქართულ ხელბურთს ექსპერტი ეწვია

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სამინისტროში ევროპის ხელბურთის ფედერაციის ექსპერტს ნორვეგიელ ბენტ დალის შეხვდა. შეხვედრას ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, ვიცე-პრეზიდენტი იმედო ფხაკაძე და გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე დაესწრნენ.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციას ევროპის ხელბურთის ფედერაციის განვითარების პროგრამის „Foster“-ის ფარგლებში ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული, რომელიც ევროპისა და ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციების მხრიდან საქართველოში ხელბურთის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ამ პროგრამის ფარგლებში ევროპის ხელბურთის ფედერაციის დავალებით თბილისს ნორვეგიელი ხელბურთის ექსპერტი ბენტ დალი სტუმრობს, რომელიც თბილისი 2015-ის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პროგრამის ფარგლებში 16-წლამდელ ვაჟ ხელბურთელთა ნაკრების საწვრთნელ შეკრებაშია ჩართული და ახალგაზრდა ხელბურთელებს ტექნიკურ და ტაქტიკურ მზადების კურსს უტარებს.

ამავდროულად, ბენტ დალი ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელებისთვის სემინარს გამართავს და პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას გაუზიარებს. 1-7 აგვისტოს ჩათვლით 16-წლამდელთა ნაკრები დუშეთის სპორტკომპლექსში სასწავლო საწვრთნელ შეკრებას გადის, რომლის დასრულების შემდეგ უნგრეთში საერთაშორისო ტურნირ „ჩელლ-ჩუპში“ მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება.

ქეთი მელუა ვარძიის ფრესკებს გადაარჩენს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიზანია, ქვეყანაში სარესტავრაციო/სამშენებლო პროცესები განხორციელდეს სიძველეთა დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული კანონისა და საერთაშორისო კონვენციით დადგენილი წესების დაცვით.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის – შესრულებული, მიმდინარე და შესასრულებელი სამუშაოების მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი დასაფასებელია. სიძველეთა დაცვის თემამ უკანასკნელ წლებში გაარღვია სამეცნიერო საზოგადოების ჩარჩოები და დღეს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ინტერესისა და ზრუნვის საგანი გახდა. ეს არის ჯანსაღი პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს სიძველეების დაცვის საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ეტაპობრივ ამაღლებას.

ეროვნული სააგენტო ძეგლების რეაბილიტაციით დაინტერესებული საზოგადოებისთვის შემეცნებითი ხასიათის სემინარების გამართვას გეგმავს, სადაც დამატებით იქნება განმარტებული ის აუცილებელი საკითხები, რომელიც ძეგლზე სამუშაოების წარმოებამდე არის გასათვალისწინებელი, – ნათქვამია სააგენტოს ოფიციალურ განცხადებაში.

ვარძიის გადასარჩენად აღდგენითი სამუშაოები ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო, რაც პირველი ეტაპით – კომპლექსის შესწავლით გადაწყდა. ადგილზე იმუშავეს ექსპერტებმა. მათი თქმით, თუკი სამუშაოები ხელის შეშლის გარეშე ჩაივლიდა, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი და კედლის უძველესი მხატვრობა გადარჩებოდა. პროექტი, რომლის ფარგლებშიც ვარძიის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება დაიგეგმა, ქართველი და უცხოელი ექსპერტების ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა.

ვარძიის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით სპეციალისტებმა ორი მიმართულებით მუშაობა გადაწყვიტეს: პირველია ქვათა ცვენის პრევენციული სამუშაოების განხორციელება, მეორე – ვარძიის უძველესი მხატვრობის საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავება.

ძეგლის სტრუქტურისა და მასალის გათვალისწინებით საუკუნეების განმავლობაში ვარძია ბუნებრივი ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა. კომპლექსს ყველაზე დიდ პრობლემას პერიოდულად ქვების ცვენა უქმნის, რომელიც მის კედლებს და სტრუქტურას აზიანებს. დაზიანებებისგან თავის დაზღვევის მიზნით, რამდენიმე წელია, ვარძიის გადარჩენის პროგრამა ხორციელდება. ყოველი წლის ზამთრის დასაწყისში მთამსვლელთა სპეციალური ჯგუფი იმ ქვებს ხსნის, რომლებსაც ჩამოცვენა ემუქრება. პერიოდულად მიმდინარეობს ბზარების რედაქტირებაც, თუმცა, აღნიშნული სამუშაოები მინიმალურია და ძეგლზე უფრო სერიოზული სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი. იმისათვის, რომ ძეგლის უკეთესად შესწავლა მომხდარიყო, რამდენიმე თვის წინ კომპლექსის მოპირდაპირე მხარეს სპეციალური რადარი დამონტაჟდა.

– აღნიშნული რადარი დაახლოებით 4 თვის წინ დამონტაჟდა და გვაწვდის ყველანაირ ინფორმაციას მასების გადაადგილების შესახებ, მოძრაობას, დინამიკას და იძლევა საშუალებას, რომ დროზე იქნას მიღებული პრევენციული ზომები, იქნება ეს გასამაგრებელი თუ სხვა სახის სამუშაოები. ეს ინფორმაცია ყოველ 5 წუთში იგზავნება და სპეციალურ ბაზაში და მუშავდება. ჯერ-ჯერობით, იმ პერიოდში, რაც რადარი დამონტაჟებულია, მნიშვნელოვანი და საგანგაშო გადაადგილებები არ გამოვლენილა, თუმცა ამ მონაცემების დამუშავებაში ეს ჯგუფი ჩართულია და უფრო დეტალურად შესწავლის შემდეგ სამუშაოებს საჭიროების მიხედვით განახორციელებენ, – განაცხადეს სააგენტოში.

მათივე თქმით, ამ ძეგლის შენარჩუნება საჭიროებს გარკვეულ ცოდნას გეოლოგიის და მდგრადობის კუთხით. დაახლოებით ორი წლის წინ სააგენტომ დაიწყო პროექტი მუდმივი მონიტორინგის რეჟიმი. პირველ რიგში, ეს გამოიხატება იმაში, რომ რადარი აფიქსირებს მონაცემებს, რაც თბილისის შემდეგ იტალიის ოფისს გადაეცემა და ფიქსირდება, რაიმე ძვრა ხომ არ არის, აღირიცხება მილიმეტრიანი ცვლილებებიც კი. სპეციალურად ჩამოყვანილი 12 სპეციალისტი, საბერძნეთიდან, იტალიიდან, იაპონიიდან და სხვადასხვა ქვეყნებიდან, ამ დარგში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები არიან. ეს იძლევა საშუალებას, როგორც საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა, ასევე მათი მხრიდან რეკომენდაციების მიღებისა, თუ რა სახის პრევენციული ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს.

ქვათა ცვენის პრევენციული სამუშაოების განხორციელებას იტალიელი ქვის კონსერვაციის ექსპერტი, იუნესკოს წარმომადგენელი კლაუდიო მარგოტინი აკონტროლებდა, ხოლო მხატვრობის საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავებას – ლონდონის უნივერსიტეტის, კურტოს ინსტიტუტის, კედლის მხატვრობის დეპარტამენტის წარმომადგენელი და კონსერვაციის საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილე შერონ ქეთერი.

პროექტი ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელდება, რადგან პრობლემურ კერებზე გრძელვადიანი მუშაობაა საჭირო. მხატვრობის შესწავლის პირველ ეტაპში ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან ერთად სტუდენტებიც არიან ჩართული.

ვარძიაზე დაგეგმილ სამუშაოებში სხვადასხვა დროს ჩართული იყვნენ მეწყერების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის საერთაშორისო ქსელის წამყვანი სპეციალისტები იტალიიდან, იაპონიიდან, ესპანეთიდან და ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ინსტიტუტის, მონუმენტური ფერწერის კონსერვაციის სპეციალისტები. ქართული მხარეს კი წარმოადგენდნენ ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევითი ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ ძეგლს წლების განმავლობაში საკმაოდ მრავალი დაზიანება აქვს მიღებული, მისი გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ვარძია ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლია, რომელიც როგორც ქართველ, ასევე უცხოელი ტურისტებს მრავლად იზიდავს.

– ვარძია ისტორიულ ჯავახეთში ასპინძის რაიონში მდებარეობს. სამონასტრო-საცხოვრებელი კომპლექსი XII-XIII საუკუნეებით თარიღდება და კლდეში ცამეტ სართულადაა ნაკვეთი. კომპლექსი ასობით გამოქვაბულს, დარბაზს, ასევე მცირე ეკლესიას, სამალავებს და გვირაბებს მოიცავს. მის სიღრმეში ბუნებრივი წყარო და 3.5 კილომეტრის სიგრძის წყალსადენი ტრასაა. ვარძიის შესახებ არსებულ ამბებში საგულისხმოა სამი მომენტი – მონასტრის დაარსების დაკავშირება მეფე გიორგი III-სა და თამარ მეფის სახელთან; „ქართლის ცხოვრებაში“ პირდაპირი ცნობებია, რომ მონასტრის შენება მეფე გიორგი III დროს დაწყებულა და შემდგომ თამარის მეფობის დროს დასრულდა. ვარძიის მშენებლობის ადგილის შეცვლა და აქ მონასტრის დაარსებამდე ძველი გამოქვაბულების არსებობა. ვარძიაში დასახლება თამარის მეფობის ხანაში აკურთხეს. სამეფო მონასტერი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ერთხანს ვარძიაში მოღვაწეობდა იოანე შავთელი. ვარძიის წიგნთსაცავიდან შემორჩენილია ვარძიის ოთხთავის დასურათებული ხელნაწერი. მონღოლთა ბატონობის ხანაში ვარძიელი ბერ-მონაზვნები აქტიურად იბრძოდნენ სარწმუნოებისა და ეროვნული კულტურის გადასარჩენად. მონასტერი სპარსთა ჯარმა დაარბია და დაანგრია. ვარძიის ცნობილი ღვთისმშობლის ხატი, ოქროსა და ფოლადის კარები და კულტურის სხვა მრავალი განძი მტერმა გაიტაცა. როდესაც ეს მხარე ოსმალეთმა დაიპყრო, მონასტერი საბოლოოდ გაუუქმიერდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ვარძია კვლავ საქართველოს შემადგენლობაშია. იგი მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა, ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, მიკვლეულ იქნა 3 კულტურის ფენა: ადრინდელი შუა საუკუნეებისა, XII საუკუნისა და XIII-XIV საუკუნეებისა. აღმოჩნდა მოჭიქული კერამიკის მრავალფეროვანი ნიმუშები, ქაშანურის ფრაგმენტები, ლითონის სადნობი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი და იარაღი. დადგენილია, რომ ხეობა მტკვრის ორივე მხარეს მჭიდროდ იყო დასახლებული უკვე ენეოლითის ხანაში, არქეოლოგიური სამუშაოების დროს ტერასებზე და ბორცვებზე მიკვლეულია პირველყოფილი თემური საზოგადოების ენეოლით – ბრინჯაოსა და გვიან – ბრინჯაოს ეპოქათა ძეგლები, მათ შორის ყორღანული სამარხები. ამ ტიპის ძეგლების შესწავლამ გამოავლინა თრიალეთის კულტურის გავრცელების არეები. ვარძია არ გამოირჩევა მდიდრული მორთულობით, ერთადერთი სამკაულია სამლოცველოთა კედლის მხატვრობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა, სადაც ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები, აგრეთვე ქართლის ერისთავი რატი სურამელი. ვარძიის ტაძრის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის მნიშვნელოვანი ძეგლია. ქართული კედლის მხატვრობის კვლევისათვის იგი დიდმნიშვნელოვანია ზუსტი თარიღის გამო, – ამბობენ სააგენტოში.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან ვარძიის მონასტერი ხერთვისთან ერთად შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

პატიმრები სასჯელების გადახედვას ითხოვენ

ღია წერილი

<u>საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს;</u>

<u>საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ ეკა ბესელიას;</u>

<u>საქართველოს იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს;</u>

<u>საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს ბატონ სოზარ სუბარს;</u>

2005 წლის 26 თებერვალს მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან „ნულოვანი ტოლერანტობა“ გამოაცხადა და ძალოვან სტრუქტურებს მოსახლეობის მასობრივი რეპრესიებისკენ მოუწოდა.

იმ დღიდან მოყოლებული სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის პოლიტიკური მსხვერპლი ათასობით საქართველოს მოქალაქე გახდა, უკანონო პატიმრების რიცხვმა უპრეცედენტო რაოდენობას მიაღწია.

2012 წლის 1 ოქტომბერს დემოკრატიული არჩევნების გზით წერტილი დაესვა სააკაშვილის მიერ დამკვიდრებულ განუკითხობას. ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსული კოალიცია „ქართული ოცნება“-ს საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა და ამით მხარი დაუჭირა წინა საარჩევნო დაანონსებულ სამართლიანობის აღდგენას.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერმა უკანონო პატიმრებმა გვინდა შევახსენოთ საქართველოს პარლამენტს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დღემდე ასობით უკანონო პატიმარი იხდის არაადეკვატურ სასჯელს და ამ ცხრა თვის მანძილზე არ გამოიძებნა მექანიზმი გადაისინჯოს ძალაში შესული განაჩენები იმ უკანონო პატიმრების მიმართ, რომლებმაც რეჯიმის პირობებში, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად არ აღიარეს არ ჩადენილი დანაშაული .

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს გვინდა შევახსენოთ, რომ მარტო ორასამდე პოლიტ პატიმარის განთავისუფლება არ ნიშნავს დაპირებული სამართლიანობის აღდგენას. ჩვენც ასეთივე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი ვართ, რომლებიც დღემდე ვიხდით უკანონო და არაადეკვატურ სასჯელებს არასათანადო მოპყრობის პირობებში.

მიუხედავად 2012 წლის 28 დეკემბრის კანონისა „ამნისტიის შესახებ“ უკანონო პატიმრების დიდი ნაწილი დღემდე ვრჩებით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ ამნესტია რა სახის და ფორმისაც არ უნდა იყოს მისასალმებელია, მაგრამ ის არ აღადგენს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმისგან შელახულ ღირსებას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის მსგავსად დღევანდელი ხელისუფლების პირობებში პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხს კვლავ არაობიექტურად იხილავენ და ადგილი აქვს ვადამდე ადრე განთავისუფლების პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებას, რაც იწვევს პატიმრების და მათი ოჯახის წევრებისგან უსამართლობის განცდას.

აქვე ვიტოვებ უფლებას დღემდე ჩვენს უკანონო პატიმრებზე პასუხისმგებლობა წინა რეჟიმთან ერთად დავაკისროთ დღევანდელ ხელისუფლებას უყურადღებობისათვის და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ხელოვნურად გაჭიანურებისათვის, რადგან ვთვლით, რომ სამართლიანობა, მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით და დაპირებებით არ აღსდგება.

იმედს ვიტოვებთ სააკაშვილის რეჟიმის, შერჩევითი სამართლის, რეპრესიების და ტყუილების ეპოქა ამჯერად ახალი ხელისუფლების ამაო დაპირებების და აუხდენელი ოცნების ეპოქად არ შეიცვლება!

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უკანონო პატიმრები, რომელთა უმრავლესობა აღიარებულია არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისაგან და წინამდებარე წერილის ადრესატებისაგან მოვითხოვთ:

1) დაჩქარებული წესით მოხდეს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რათა დაკმაყოფილდეს ათასობით უკანონო პატიმრების სამართლიანი მოთხოვნა გადაისინჯოს სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ძალაში შესული გამამტყუნებელი რეპრესიული განაჩენები, რათა აღდგეს სამართლიანობა.

2) შემუშავდეს მექანიზმი, რათა კანონით დადგენილი წესით მოხდეს ვადაზე ადრე განთავისუფლების მექანიზმების ეფექტურად ამუშავება.

წინამდებარე განცხადების ასლი შებამის მიმართვაზე თანდართული გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს ნავანეთემ ფილაის, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს ნილს მიუზნივს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ვოჩის“ აღმასრულებელ დირექტორს ქენეთ როტას.

განცხადებას ხელს 53 პატიმარი აწერს

ბორჯომმა ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალს უმასპინძლა

ეკა ირემაშვილი

ბორჯომის კულტურის ცენტრმა ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალ „ბორჯომი 2013“-ს უმასპინძლა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში განმარტეს:

– ფესტივალის მიზანია ქართული სამუსიკო ფოლკლორის პოპულარიზაცია დამსვენებლებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში, მოზარდების წახალისება, ასევე ტრადიციული ქართული სიმღერისა და შემსრულებლობის ერთგულება და შენარჩუნება.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები წნორიდან, საგარეჯოდან, თბილისიდან, კასპიდან, ხაშურიდან, ქუთაისიდან, წყალტუბოდან, სამტრედიიდან, ვანიდან, ამბროლაურიდან.

ფესტივალი ჩატარდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და ორგანიზებით, მონაწილე ანსამბლებს კი გადაეცათ სერტიფიკატები.

ფესტივალის მხარდამჭერმა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ანსამბლები ცენტრის ბოლო წლების აუდიოგამოცემებით დაასაჩუქრა. ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალი ბორჯომში ყოველწლიურად გაიმართება.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით, ფოლკლორის ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი უჩა დვალიშვილი ზემო სვანეთში გაემგზავრა.

– ექსპედიციის მიზანს წარმოადგენს ქართული (სვანური), ავთენტიკური ცეკვების ნიმუშების მოძიება-დაფიქსირება; სვანურ ყოფაში ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენილი იშვიათი ცეკვების, ილეთებისა და საცეკვაო ფრაგმენტების სასწრაფოდ ჩაწერა, ვიდეო და ფოტო გადაღება; მივიწყებული ცეკვების აღმოჩენა, სვანური ცეკვებისათვის დამახასიათებელი სინკრეტულობის შენარჩუნება; სვანური ცეკვებისა და ილეთების ვიდეოსტუდიური ჩაწერა, ცენტრის არქივის ახალი მასალებით გამდიდრება, – განაცხადა უჩა დვალიშვილმა.

მისივე თქმით, მოძიებული და დაფიქსირებული მასალა ხელმისაწვდომი იქნება ქორეოგ-ქორეოგრაფებისათვის, მუსიკოს-აკომპანიატორებისათვის, მოცეკვავეებისა და სტუდენტებისათვის, მკვლევრებისა და ქართული ცეკვით დაინტერესებული პირებისათვის.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. დარბაზის ფეხბურთი; 3. მეთაურთა სამხედრო ჩინი; 4. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. მოკლე კინო-სარეკლამო რგოლი; 6. უძველესი ქართული აკადემია კახეთში; 8. ინდიელთა გრძელი ვიწრო ხის ნავი; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი; 14. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. გორგოლაჭებიანი ტრანსპორტიორი; 16. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 17. ქართველ ქალთა ცეკვა; 19. პოპულარული ფრანგული სიგარეტი; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ირანის ნავსადგური სპარსეთის ყურეში; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. გოეთეს ტრაგედია; 5. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი; 7. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 9. გულის არტერიის დაავადება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. სამცხის მმართველთა ტიტული; 13. ცირკის მასხარა; 16. ქვეყნის ერთგული, თავდადებული ადამიანი; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 20. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 22. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 23. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 24. უღელტეხილის ქართული სახელწოდება; 25. შავი ფისი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პაროდია; 2. ჩხუტი; 3. კვარიათი; 4. ანგოლა; 5. ავენიდა; 6. დიკენსი; 11. იგავი; 13. რუსტიკა; 14. ანდერსენი; 15. სპრინტერი; 17. რამოსი; 18. კოიოტი; 19. კაფი.

თარაზულად: 7. მარეხი; 8. ივანიშვილი; 9. ტოიოტა; 10. ერდოგანი; 12. საფრანგეთი; 14. არაქსი; 16. კრასნოვი; 18. კადასტრი; 20. სიდრი; 22.კონკლავი; 23. იდეა; 24. ქიმერიონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. იღუმენი; 3. ტიტიკაკა; 4. ინტელექტი; 5. ჭერხო; 6. ამლახუ; 8. ქვევრი; 11. ნოვაცია; 14. ობსკურანტი; 15. კაროტინი; 16. ესკადრონი; 17. დარიკო; 19 როლექსი; 21. პეპსი; 22. სენტო.

თარაზულად; 1. კინტრიში; 5. ჭონა; 7. ქოქოსი; 9. კულტივატორი; 10. ლენტეხი; 12. ჩხავერი; 13. სექტორი; 16. ეპიგრაფი; 17. დუყი; 18. არიბა; 20. შტურმანი; 22. სეიფი; 23. ჰერაკლე; 24. ოხუნჯი; 25. სანტი.



რუსეთში „ფუსი რაიოთის“ დამცველი სასულიერო პირი მოკლეს

რუსეთში, ქალაქ ფსკოვში მართლმადიდებელი მღვდელი პაველ ადელგეიმი მოკლეს. „ბი-ბი-სის“ ცნობით, ის პანკ-ჯგუფ „ფუსი რაიოთის“ წევრებს იცავდა და მოსკოვის საპატრიარქოს მკაცრად აკრიტიკებდა. ის ორგანიზაციის წევრების პატიმრობიდან გათავისუფლების მომხრე იყო.

პაველ ადელგეიმს მკვლელმა დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. მისი ცხედარი ეკლესიასთან აღმოაჩინეს.

არსებული ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია. სასულიერო პირს დანით სასიკვდილო ჭრილობები მოსკოვის 27 წლის მკვიდრმა მიაყენა, რომელმაც შემდეგ ორი ჭრილობა საკუთარ თავსაც მიაყენა. ეჭვმიტანილი ამჟამად კლინიკაშია გადაყვანილი.

მომხდართან დაკავშირებით მწუხარება სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმაც გამოთქვა. მოკლულ მღვდელს 1 აგვისტოს 75 წელი შეუსრულდა. ბოლო წლებში პაველ ადელგეიმი მკვეთრი კრიტიკით გამოირჩეოდა რუსულ ეკლესიაში არსებული მდგომარეობისა და მისი იერარქების მიმართ.

მიხეილ ხოდორკოვსკის და პლატონ ლებედევს სასჯელი შეუმცირდათ

„იუკოსის“ ყოფილ ხელმძღვანელ მიხეილ ხოდორკოვსკის და „მენატეპის“ ყოფილ ხელმძღვანელს პლატონ ლებედევს სასჯელი შეუმცირდათ.

ხოდორკოვსკისა და ლებედევისთვის სასჯელის ორი თვით შემცირების გადაწყვეტილება რუსეთის უზენაესმა სასამართლომ დღეს მიიღო. ხოდორკოვსკი საპატიმროში კიდევ 380 დღე დარჩება, ლებედევი კი დაახლოებით – 270.

ადვოკატ ალექსი მიროშნიჩეკოს განცხადებით, ხოდორკოვსკი საპატიმროს 2014 წლის აგვისტოში დატოვებს, ლებედევი კი მომავალი წლის დასაწყისში.

დაცვის მხარე აპირებს განაჩენი შემდგომ ინსტანციაში – უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმში გაასაჩივროს.

დღევანდელ პროცესზე სასამართლომ ხოდორკოვსკი-ლებედევის მეორე საქმეზე გამოტანილი განაჩენი განიხილა.

მიხეილ ხოდორკოვსკიმ სასამართლო პორცესში მონაწილეობა ვიდეოკავშირის მეშვეობით მიიღო.

ნავთობკომპანია „იუკოსის“ ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ ხოდორკოვსკი და მისი ბიზნესპარტნიორი პლატონ ლებედევი მეორე საქმეზე სასამართლომ 2010 წლის 30 დეკემბერს დამნაშავედ ფულის მითვისებაში და გათეთრებაში სცნო.

ხოდორკოვსკი და ლებედევი 2003 წელს თაღლითობისა და გადასახადებისთვის თავის არიდებისთვის დააპატიმრეს.

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნანული სამყურაშვილი, შვილები მარინა, მანანა, დათო, სიძეები ამირან ჯინჭარაძე, გია ცერცვაძე, შვილიშვილები ლაშა, გიორგი ჯინჭარაძეები, ირაკლი, გიორგი, შვილთაშვილი მერაბი, მძახლები პავლე, ნელი ცერცვაძეები, რძალი მაია მულაძე, ცოლისძმები რევაზ, ლევან, ბეჟან სამყურაშვილები, ბიძაშვილები თინა, იზო, რუბენ, ჯუმბერ, თამაზ გურასაშვილები, დეიდაშვილი ზაურ ჯინჭარაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ბიქტორის ძე გურასაშვილი

პანაშვიდი: 7 აგვისტოს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 8 აგვისტოს, 14 საათზე.

მისამართი: მუხიანი, II მიკრორაიონი, XIX კორპუსი, I სადარბაზო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ბენიამინ ნეთანიაჰუ: „ირანი მიზნად ატომური იარაღის წარმოებას ისახავს“

ისრაელის მინისტრთა კაბინეტის ყოველკვირეულ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა: პარასკევს ირანის პრეზიდენტმა თქვა, რომ ისრაელი ისლამური სამყაროს სხეულზე გაჩენილი ჭრილობაა. პრეზიდენტი გადააყენეს, მაგრამ რეჟიმის მიზნები არ შეცვლილა.

„ირანი მიზნად ისახავს ატომური პროგრამის გაგრძელებას და იარაღის წარმოებას, რათა გაანადგუროს ისრაელის სახელმწიფო და ეს არა მხოლოდ ჩვენთვის არის საფრთხე, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთისა და მსოფლიოსთვის. სწორედ ამიტომ, ჩვენი ამოცანა მათი შეჩერებაა“, – აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ირანის დამოკიდებულება ისრაელის მიმართ, სავარაუდოდ, არ შეიცვლება. ინაუგურაციამდე ორი დღით ადრე პალესტინელების მხარდასაჭერ ტრადიციულ ყოველწლიურ მიტინგზე გამოსვლისას როუჰანიმ ისრაელს უწოდა ისლამური სამყაროს სხეულზე ძველი იარა, რომელიც მოსაცილებელია. დაახლოებით, იმავე ტერმინოლოგიით საუბრობდა ისრაელზე მაჰმუდ აჰმადინეჯადიც. საერთოდ, ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანი არ აღიარებს ისრაელის არსებობის უფლებას. თუმცა კვირას საინაუგურაციო სიტყვაში როუჰანიმ განაცხადა, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეინარჩუნებს მშვიდობას ომის საშუალებით და რომ ირანი არდაიწყებს ომს არც ერთ სახელმწიფოსთან.

სირიის ოპოზიციამ ალეპოსთან მდებარე ავიაბაზა ჩაიგდო ხელში

სირიის ოპოზიციამ ქალაქ ალეპოს სამხრეთით მდებარე ერთ ერთ მნიშვნელოვანეს პროვინციაში მდებარე ავიაბაზა ჩაიგდო ხელში. ინფორმაციას ამის შესახებ „ფრანს პრესი“ ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ავიაბაზისათვის სისხლისმღვრელი და სასტიკი ბრძოლები ოპოზიციასა ბაშარ ასადის არმიას შორის უკვე ერთ თვეზე მეტი ხანის მიმდინარეობს.

ამ ფონზე, სირიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში „ალ-ქაიდას“ ბოევიკებმა 450 ქურთი-ტყვე დახვრიტეს. მოკლულებიდან 120 ბავშვია, დანარჩენი კი მოხუცები და ბავშვები. ინფორმაციას ამის შესახებ ირანული მედია ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 23 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყებოდა, რომ სირია-თურქეთის საზღვრის აღმოსავლეთის მონაკვეთზე იქ სადაც ქურთებით დასახლებული ქალაქები რას ალ-აინი და ტელლ-აბიადი მდებარეობენ მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა.

ქურთულმა ფორმირებებმა მოახერხეს ესქტრემისტების უკუგდება და მათი სავალე მეთაურის ხელში ჩაგდება, რომელმაც განაცხადა, რომ ის ჩეჩენი აბუ-მუსააბია. ამის საპასუხოდ ექსტრემისტებმა ხელში ჩაიგდეს დაახლოებით 500 ქურთი ტყვე – ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები და თავიანთი საველე მეთურის გათავისუფლება მოითხოვეს. ამასთან ერთად მათ პარალელურად, უდანაშაულო ადამიანების ხოცვა, მათთვის თავების მოჭრით დაიწყეს.

ქურთები იძულებილნი იყვნენ საველე მეთაური გაერთავისუფლებინათ, საპასუხოდ კი ცოცხლად დარჩენილი ტყვეების გათავისუფლება მოითხოვეს. ექსტრემისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და ამჟამად არსებული ინფრმაციით, მათ ტყვედ კიდევ 200 ადამიანი ჰყავთ, რომლებსაც „ცოცხალ ფარად“ იყენებენ.

რუსეთში არალეგალების კარვის ბანაკებში გადაყვანას საერთაშორისო პროტესტი მოჰყვა

რუსეთი ხელისუფლებამ არალეგალური ვაჭრობის აღმოსაფხვრელად ჩატარებული რეიდების შემდეგ, არალეგალი მიგრანტებისთვის კარვები გაშალა. არალეგალთა უმრავლესობა ვიეტნამელი წარმოშობისაა, ამიტომ კარვებში ცუდი პირობების გამო პირველი პროტესტი ვიეტნამის საელჩომ გამოთქვა.

როგორც ცნობილია კარვებში 600-მდე არალეგალი ცხოვრობს. ვიეტნამელების გარდა, არიან ტაჯიკები, უზბეკები, სირიელები, ყირგიზები და მაროკოელები. ერთ-ერთი არავიეტნამელი მიგრანტის თქმით, თავდაპირველად კარვებში ქალები და ბავშვებიც იყვნენ, თუმცა მისი თქმით, „ვიეტნამელებს არაფრის არ ერიდებოდათ“ და ამიტომ ისინი სხვა ადგილას გადაიყვანეს.

ექსპერტების ვარაუდით, ამჯერად პროტესტი მხოლოდ ვიეტნამის საელჩომ გამოთქვა, თუმცა თუ კარვები შემოდგომამდე არ აიღეს, მაშინ რუსეთის დიპლომატიურ სამახურს სხვადასხვა ქვეყნის პრეტენზიების მოსმენა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ მიგრანტები ვიეტნამიდან, ეგვიპტიდან, მაროკოდან, სირიიდან, ყირგიზეთიდან, აზერბაიჯანიდან და უზბეკეთიდან, რომლებიც მცირე ხნის წინ მოსკოვში დააკავეს, მობილურ ბანაკში მოათავსეს.

1,5 ათასი მიგრანტი იქ მანამდე დარჩება ვიდრე არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება მათი დეპორტაციის შესახებ. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მიგრანტების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მედიკოსები იზრუნებენ. ასევე გაკონტროლდება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. მოხდება მათი საკვებით უზრუნველყოფაც.

აშშ თავის მოქალაქეებს იემენის დაუყოვნებლივ დატოვებისკენ მოუწოდებს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იემენში მყოფ თავის მოქალაქეებსა და დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს ტერორისტული აქტების საფრთხის გამო იემენის დაუყოვნებლივ დატოვებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, „ალ ქაიდას“ მხრიდან ტერორისტული საფრთხის გამო კვლავაც დახურული რჩება ჩრდილოეთ აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში მდებარე აშშ-ის 20 საელჩო და საკონსულო, რომლებიც 10 აგვისტომდე არ განაახლებს მუშაობას.

ამერიკულ მედიაში აშშ-ის დაზვერვის სააგენტოს წყაროზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის მხარემ ხელთ იგდო „ალ ქაიდას“ ლიდერის – აიმან აზ-ზავაჰირის გზავნილი არაბეთის ნახევარკუნძულზე მოქმედი „ალ ქაიდას“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელისთვის, ნასერ ალ ვახშისთვის. ტერორისტული დაჯგუფების ლიდერები აშშ-ის მოქალაქეებზე ტერორისტული აქტების განხორციელების შესახებ საუბრობდნენ.

ამავე დროს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული გლობალური გაფრთხილება ტურისტებისათვის აგვისტოს ბოლომდე რჩება ძალაში.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 7 აგვისტო

08.00 დ/ფ " ბრინჯის მფლობელები" **09.10** საბ. ან/ფ "ტომი და ჯერი და შერლოკ ჰოლმსი" **10.00** დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ვეტერინარი**" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** მხ/ფ "**პაზარდელი დიუკები**" **00.00** მხ/ფ "**თოვლის ანგელოზები**" (კ.ბეკინსეილი)

08.00, 10.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" **5-6** სერ. **09.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **5** სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**". **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული** **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ქაღალი – 4**" **5** სერ. **00.15** მხ/ფ. "**სისხლიანი შოუ**" (ვ.კ. ქემბელი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "Open Season - 3" **10.00** სერ. "**სიყვარული მეფენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქარო. მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ბიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერონისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 03.10** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** მოკ/ფ "**ბზიანვეთი**" **11.20** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **12.40** ღია აუდიტორია **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** აქტუალური თემა **15.30** ისტორიის გაკვეთილი **16.05** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.30** ეთნოგრაფია **16.45** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ცარიელი ბინა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" **00.35** მხ/ფ "**მოგზიდკი**" I - II ნაწ. **02.00** ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.00** "კვირის აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შბორჯი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

tv 9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05, 20.00 სერიალი "ბაგილი შხამი" 12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** რაც დარჩა სათქმელი გამ **16.10** გრიფის გარეშე გამ **17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6688
- ევრო — 2,2142
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5611
- 100 რუსული რუბლი — 5,0753

ამინდის პროგნოზი 7 აგვისტოსთვის

რას ითხოვს საქართველოს სომეხთა სათვისტომო?

ეკა ირემაშვილი

რას ითხოვს საქართველოს სომეხთა სათვისტომო? – ამ კითხვაზე პასუხი ჩვენ მათგან დეტალურად მივიღეთ:

„სრული გარანტია არსებობს იმისა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან არც ერთი ვალდებულება არ დარჩება შეუსრულებელი“, – ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს ეკუთვნის, რომელიც მან პირველ აგვისტოს წარმოთქვა.

ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა იმ მომენტიდან, რაც საქართველოს სომეხთა სათვისტომომ მეტრომშენის უბანში მდებარე სომხურენოვანი სკოლის აღდგენის თხოვნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა.

„2004-12 წლების პერიოდში თბილისში ზედიზედ იხურებოდა სომხურენოვანი სკოლები, ხოლო ქვეყნის მასშტაბით სომხურენოვან სკოლებს ფუნქციონირების მრავალი პრობლემა ექმნებოდათ. არსებული ვითარება სომეხთა სათვისტომოს მწუხარებასა და აღშფოთებას იწვევს, რადგან სომხურენოვანი სკოლა ჩვენი თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი გარანტია. ეს პროცესი (სომხურენოვანი სკოლების დახურვა) იყო ინიცირებული წინა ხელისუფლების მიერ და ხორციელდებოდა სხვადასხვა გზით: რეორგანიზაციისა და მასწავლებლების სკოლიდან დათხოვნით ან საგანმანათლებლო დაწესებულების პირდაპირი დახურვით.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენ, ახალი ხელისუფლება, უარს იტყვით წინა ხელისუფლების დისკრიმინაციულ ქმედებებზე და გაინიხილავთ არაქართულენოვანი სკოლების დახურვის პრობლემატიკას, როგორც ეს აღნიშნულია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში და შეესაბამება ცივილიზებულ სახელმწიფოს, სადაც თითოეული მოქალაქის ძირითადი უფლებები დაცულია,“ – ნათქვამია „საქართველოს სომეხთა სათვისტომოს“ მიერ განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში, რომელიც შარშან 3 დეკემბერს დაიწერა.

მიმართვის პარალელურად სამინისტროს ასევე მეტრომშენის სომხურენოვანი სკოლიდან დათხოვნილმა (№103 საჯარო სკოლაში არსებული სომხურენოვანი სექტორი) მასწავლებლებმაც მიმართეს:

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ქეთი მელუა ვარძიის ფრესკებს გადაარჩენს



ეკა ირემაშვილი

ბრიტანეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერალი ქეთი მელუა ვარძიის სამონასტრო ფრესკების გადასარჩენად საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. მომღერალი უკვე საქართველოშია. მომღერალმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად ვარძიის სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერა და საერთაშორისო ექსპედიციის მიმდინარეობას გაეცნო. ქეთი მელუა ვარძიის სამონასტრო კომპლექსის უძველესი ფრესკების გადასარჩენად საკუთარ ინვესტიციას ახორციელებს და ბრიტანეთში უძველესი ძეგლების პოპულარიზაციას ეწევა. საქველმოქმედო კონცერტებიდან შემოსული თანხით, მელუა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან ერთად ვარძიის ფრესკების გადარჩენის პროექტს მხარს უჭერს. ვარძიის მხატვრობის საკონსერვაციო კვლევითი სამუშაოები სააგენტოს დაფინანსებით ლონდონის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის სპეციალისტებთან ერთად ხორციელდება. უახლოეს დღეებში საქართველოში ლონდონის უნივერსიტეტის, კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის რესტავრაციის დეპარტამენტის დირექტორი დევიდ პარკი ჩამოვა და სამონასტრო კომპლექსს დაათვალიერებს. მხარეთა შეთანხმების თანახმად, ვარძიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის უნიკალური კედლის მხატვრობის დიაგნოსტიკა და კონსერვაცია უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს.

როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იუწყება, ვარძიის ტერასები ბეტონით 1950-იან წლებში გაამაგრეს, რაც მაშინ ერთადერთი საშუალება იყო გამოქვაბულების ჩამოქცევის საწინააღმდეგოდ.

სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა ფოტოები, რომელზეც ბეტონით გამაგრებული ვარძიის ზედა ტერასები იყო აღბეჭდილი. მომხმარებლების თქმით, ეს სამუშაოები მართლმადიდებელი სამღვდელო პირების მიერ იყო შესრულებული. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო აღნიშნულ ფოტოს „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოეხმაურა:

„კულტურული მემკვიდრეობის დარგში საზოგადოების ჩართულობა და აქტივობა სფეროს განვითარების საფუძველია.

ვარძიის არქიტექტურული კომპლექსის ზედა ტერასების ბეტონის მასებით გამაგრება დაახლოებით გასული საუკუნის 50-იან წლებში განხორციელდა, იმ პერიოდში, როდესაც ქართველი სპეციალისტებისთვის ეს იყო ერთადერთი გამოსავალი ჩამოშლისა და დანგრევის პირას მყოფი, ყველაზე რთულ მდგომარეობაში არსებული ქვაბულების გადასარჩენად.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ვალერიან შიუკაშვილი ბათუმში დაუკრავს

ეკა ირემაშვილი

9 აგვისტოს ცნობილი ქართველი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი ბათუმში კონცერტს გამართავს. საფორტეპიანო კონცერტი ბათუმის ხელოვნების ცენტრშია დაგეგმილი. სოლოკონცერტზე შესრულებული იქნება მოცარტის, ბრამსის, ბეთჰოვენის, შოპენისა და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. ამავე საღამოს გაიმართება ვიქტორ დოლიძის საფორტეპიანო ფანტაზიის პრეზენტაცია „ქეთო და კოტეს“ თემებზე. ახალი ნაწარმოების ავტორი თავად ვალერიან შიუკაშვილია.

„ხელოვნების აკადემიის“ რექტორი, პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. მას მინიჭებული აქვს ისრაელის საერთაშორისო ფესტივალის პირველი პრემია, არის რუსეთში ჩატარებულ მარია იუდინას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალური ცენტრის სოლისტი, საერთაშორისო პროგრამა „ახალი სახელების“ ლაურეატი და სხვა მრავალ მუსიკალურ ფესტივალსა და კონკურსში გამარჯვებული პიანისტი. მისი სახელი შეტანილია „XXI საუკუნის ვარსკვლავების“ წიგნში.

ვალერიან შიუკაშვილმა დაკვრა 12 წლის ასაკში დაიწყო და ექვსი თვის შემდეგ კონსერვატორიის დიდ დარბაზში ორკესტრთან ერთად მოცარტის 23-ე კონცერტი დაუკრა, რის შემდეგაც მისმა ხელოვნებამ ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ახალგაზრდა პიანისტი ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების დამაარსებელი და გენერალური დირექტორია. ის რეგულარულად ატარებს მასტერკლასებს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ და არის მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი. ატარებს გოგი ცაბაძის სახელობის საესტრადო მუსიკის კონკურსს, „ხელოვნების აკადემიაში“ ხელს უწყობს მომავალი თაობების მუსიკალურ აღზრდას. მისი ჩანაწერები გამოცემულია სიდი ფორმატში. ვალერიან შიუკაშვილს სკარლატის, შოპენის, ბრამსის, შუბერტისა და სხვა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებთან ერთად, რევაზ ლაღიძის „რონდო ტოკატა“ ორიგინალური ინტერპრეტაციით აქვს შესრულებული.

ამჯერად ქართველი პიანისტი თავის ერთგულ მსმენელთან შესახვედრად ბათუმში ემზადება, სადაც ბათუმის ხელოვნების ცენტრში მსოფლიოს კლასიკური და ქართული მუსიკის მოყვარულებს გააერთიანებს.

„რეალი“ და „ბარსა“ კუვეიტში შეამხანაგდნენ

კუვეიტში „ბარსელონასა“ და „რეალის“ ლეგენდებმა ამხანაგური მატჩი ფუტსალში გამართეს. ძნელია, ამ მატჩს ამხანაგური დაარქვა, თუნდაც ვეტერანობისას, თუმცა, ფაქტია, შედგა.

„სამეფო კლუბის“ ვარსკვლავებმა 9:5 დაამარცხეს „ბარსას“ ექსფეხბურთელები. „რეალის“ შემადგენლობაში ადგილობრივ ფეხბურთელებთან ერთად ითამაშეს ბოდო ილგნერმა, ფერნანდო იერომ, ლუიშ ფიგუმ, მაიკლ ოუენმა, ფერნანდო მორიენტესმა, ხოლო „ბარსელონას“ შემადგენლობაში – ვიტორ ბაიამ, ჟულიანო ბალეტიმ, ჯანლუკა ძამბროტამ, გაისკა მენდიეტამ, პატრიკ კლივუერტმა.

ანგარიში მორიენტესმა გახსნა, შემდეგ მენდიეტამ გაათანაბრა, ხოლო ბელეტიმ საოცარი რამ ჩაიდინა – საკუთარი ნახევრიდან კარდაკარგული ილგნერი დაინახა და ულამაზესი გოლი გაიტანა. ბელეტიმ იგივე საოცრება კიდევ ერთხელ ჩაიდინა, მაგრამ მორიენტესმა მანამდეც და შემდეგაც გათანაბრება მოახერხა. მენდიეტამ ისევ წინ გაიყვანა „ბარსა“, მაგრამ საიფმა 3-ჯერ გაიტანა, შემდეგ ფიგუსაც გაატანინა, ხოლო ოუენის გოლმა მისი მუნდიალზე არგენტინასთან გოლი გაგვახსენა. ბელეტიმ ახლოდანაც შეაგდო, საბოლოო წერტილი კი მადრიდელთა ლეგენდამ, იერომ დასვა.

მ. ჟ.

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ასტროპროგნოზი 7 აგვისტოსთვის

ვერძი — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — დღეს ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ვიღაც ჩამოვიდეს. **ქალწული** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** — კარგად დაფიქრდით და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თხის რქა** — ნურავის ენდობით, მხოლოდ საკუთარ თავს დაეყრდენით. **მარწყული** — შეხვედრა შედგება, მაგრამ საქმე დასრულებული არ არის. **თევზები** — შენაძენით კმაყოფილი დარჩებით, ახალ ამბავსაც გაიგებთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხვოხდი ა

შვეულად: 1. წმინდა ოქრო; 2. მდინარის მონატანი სილა, თიხა, ღორღი; 3. დედამიწის აგებულებისა და შედგენილობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. მოხატული ან ორნამენტებით შემკული ჭერი; 5. ყურძნის დასაწური გულამოღებული ხის მოგრძო ჭურჭელი; 9. უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 12. ნ.ბ.ა.-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 14. შიშით გამოწვეული მღელვარება; 15. ყველაზე დაბალი რეგისტრის, ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. სიმინდის პური; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

თარაზულად: 6. სოფელი ხევსურეთში; 7. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ქართული ნაციონალური კერძი; 10. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 11. ფუნდამენტალური სამეცნიერო ნაშრომი; 13. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ყოველწლიური წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 16. თურქული აბანო; 19. აშშ-ს ელჩი საქართველოში; 20. მხარე გერმანიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა